


2018



საქართველოს
სახალხო დამცველი

კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა
და სასწავლო გარემოს შესახებ
ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში



კვლევა ადამიანის უფლებების
სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ
ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში



საქართველოს
სახალხო დამცველი

2018

გამოცემულია დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებაზე პასუხისმგებელია ავტორი და არ წარმოადგენს დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის პოზიციას.



სარჩევი

შესავალი	3
ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების როლი ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხელშეწყობის საქმეში	4
1. ადამიანის უფლებების სწავლება საქართველოში/საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა	12
ბაეროს მდგრადი განვითარების მიზნები	15
მასწავლებლის და სკოლის დირექტორის სტანდარტი	19
ეთიკის კოდექსი (მანდატური, მასწავლებელი, დირექტორი, მოსწავლე)	19
2. კვლევის მეთოდოლოგია	21
მეთოდები	21
შერჩევა	21
კვლევის შედეგები	24
3. ადამიანის უფლებები სასწავლო პროცესში	24
(ა) ადამიანის უფლებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში	25
მოქმედი 2011-2016 ეროვნული სასწავლო გეგმა და ადამიანის უფლებათა სწავლება	25
ადამიანის უფლებათა სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის საბნობრივ მიმართულებებში	27
(ბ) ადამიანის უფლებათა სწავლება სასკოლო დონეზე	28
4. მასწავლებელთა კომპეტენცია და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა	32
5. მოსწავლეთა სოდნა, დამოკიდებულებები და უნარები/ინფორმაციის წყაროები	37
წვდომა რესურსებზე, ადამიანის უფლებები და სამოქალაქო აქტივნიზმი	42
6. სასკოლო კლიმატი და გარემო	51
ადამიანის უფლებები ფორმალურ პროცედურებში	51
ადამიანის უფლებები სასწავლო გარემოში	55
ადამიანის უფლებები და სასკოლო გარემო	56
7. რეკომენდაციები	69

კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში

შესავალი

ფორმალური განათლების სფეროში ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობის მიზნით, 2017 წლის ნოემბერი - 2018 წლის მაისის პერიოდში, სახალხო დამცველის ადამიანის უფლებების აკადემიამ, დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტის ფინანსური დახმარებით, ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ადამიანის უფლებების სწავლების ხელშესაწყობად, პროექტი განახორციელა. პროექტის ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. ინტერვიუები ჩატარდა სამ სამიზნე ჯგუფს: 1) 7-12 კლასის მოსწავლეებს; 2) იმ საგნების პედაგოგებს, რომელთა სასწავლო პროგრამაც მოიცავს ადამიანის უფლებების ასპექტებს (სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ბიოლოგიის პედაგოგები, კლასის დამრიგებლები); 3) სკოლების ადმინისტრაციას (დირექტორი, მოადგილე, სასწავლო ნაწილი). კვლევის შედეგად გამოვლინდა ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით არსებული პრობლემები და გამოწვევები - სასწავლო პროგრამების, ზოგადი განათლების შესახებ რეგულირების ჩარჩოს, სკოლების სასწავლო კლიმატისა და სკოლების მართვის/ადმინისტრირების პრაქტიკის მიმართულებებით. კვლევის ფარგლებში ასევე შემუშავდა რეკომენდაციები ადამიანის უფლებებზე პასუხისმგებელი სხვადასხვა უწყებისთვის.

ზოგადი განათლების საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს კვლევამ ცხადყო, რომ სამოქალაქო განათლების გაძლიერების მიმართულებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ადამიანის უფლებების ნაწილს სასწავლო პროგრამებში ჯერ კიდევ მოკრძალებული ადგილი უკავია და ეს საკითხები ძირითადად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის საგნებშია ასახული. ადამიანის უფლებების ასპექტები არ არის/ან მცირე დოზით არის წარმოდგენილი სხვა საგნობრივ ჯგუფებში.

დანყებიითი და საბაზისო განათლების შესახებ რეგულირების ჩარჩო, ადამიანის უფლებათა განათლების საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მწირი დებულებებით შემოიფარგლება. ზოგადი განათლების შესახებ კანონი განსაზღვრავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემავალ საგნობრივ ჯგუფებს, რომელთა შორისაც არ არის მითითება მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე და კანონი მხოლოდ ზოგად დებულებას გვთავაზობს, რომლის თანახმადაც, ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური

და არადისკრიმინაციული. გარდა ამისა, ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნას, კომპეტენციასა და უნარებს არც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა, პედაგოგ-მასწავლებელთა თუ მანდატურთა სავალდებულო კომპეტენციები და პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი დოკუმენტები მოითხოვს.

კვლევამ სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის, ადამიანის უფლებების სფეროში, ცოდნის ნაკლებობა გამოავლინა. ცოდნის ნაკლებობა და ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი, ძირითადად, ორი მნიშვნელოვანი წყაროდან მომდინარეობს - უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლები აქცენტი კეთდება ადამიანის უფლებათა საკითხებზე მასწავლებელთა განათლების პროგრამებში; სასკოლო თუ ცენტრალურ დონეებზე ამ მიმართულებით პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობებია.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (როგორც საჯარო, ასევე კერძო) ნაკლები დრო ეთმობა ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. ეს ეხება როგორც საგაკვეთილო პროცესს, ასევე კლასგარეშე აქტივობებსა თუ სამოქალაქო აქტივიზმისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პრაქტიკულ ინსტრუმენტებს. შედეგად, მოსწავლეთა ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირული და ფასადურია (კვლევის შედეგად გამოიკვეთა სტერეოტიპული დამოკიდებულებები გენდერული როლების შესახებ, ეროვნულ/ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა, ასევე განსხვავებული ჯანმრთელობის, სოციალური მდგომარეობისა და სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანთა მიმართ ნაკლებად ტოლერანტული განწყობა და ა.შ.). ადამიანის უფლებების, განსხვავებულის მიმართ პატივისცემისა და შემწყნარებლობის პრინციპების შესახებ ფასადური ცოდნა და ამ პრინციპების ყოველდღიურ ინტერაქციაში გამოყენებაზე მიმართული ძალისხმევის სიმწირე, თავის მხრივ, შესაძლოა განაპირობებდეს კიდევ არსებულ სასკოლო გარემოს, სადაც სხვადასხვა საფუძველზე მოსწავლეებს შორის ჩაგვრა და ძალადობა საკმაოდ გავრცელებულ სამწუხარო რეალობად იქცა. სკოლების ადმინისტრირების პროცესში კი, ადამიანის უფლებათა შელახვის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმები - წესები და სანქციები, უმეტესწილად, ან არ არსებობს, ან კონცეპტუალურ დახვეწასა და ეფექტიან განხორციელებას საჭიროებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების როლი ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხელშეწყობის საქმეში

თანამედროვე ევროპული სახელმწიფოები დღესდღეობით მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, შემცირებულია ნდობა დემოკრატიული პროცესების

მიმართ, გამძაფრებულია ძალადობრივი ექსტრემიზმი და წინა პლანზეა წამოწეული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ამ პრობლემების დაძლევა კი, მხოლოდ ისეთ საზოგადოებას შეუძლია, რომლის განათლების დონეც და ცნობიერებაც სხვათა უფლებების შესახებ, მაღალია. განათლება ადამიანის უფლებების შესახებ არ არის პანაცეა, რომელსაც ყველა პრობლემის მყისიერად გადაჭრა შეუძლია, თუმცა ეს არის ერთადერთი გზა პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების შესაქმნელად, სადაც ადამიანები აცნობიერებენ თავიანთ სოციალურ სტატუსს და როლს საზოგადოებაში.¹

ტერმინი „ადამიანის უფლებათა სწავლება“ ფართო გაგებით გამოიყენება და გულისხმობს დემოკრატიული მოქალაქეობის, საერთო ურთიერთ-პატივისცემის შესახებ განათლებას, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს ეფუძნება. გაეროს 2011 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ განათლებასა და ტრენინგებზე, განსაზღვრავს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების დეფინიციას. დეკლარაციის მიხედვით, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება არის ნებისმიერი ტიპის სწავლება, ტრენინგი, ინფორმაციის გაცემა და სხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციას. ადამიანის უფლებების შესახებ განათლება, შესაბამისი ცოდნის, უნარების და მიდგომების განვითარებით, ადამიანებს ეხმარება, წვლილი შეიტანონ ადამიანის უფლებების შესახებ უნივერსალური კულტურის დამკვიდრებასა და გაძლიერებაში.²

ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაში მნიშვნელოვანია სამი კომპონენტის - ცოდნის, უნარებისა და მიდგომების წინა პლანზე წამოწევა. თეორიული ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ მნიშვნელოვანი წინაპირობაა უფლებების დასაცავად, თუმცა საკმარისი არ არის. აუცილებელია, ეს ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენებოდეს. ადამიანი, რომელიც მიიღებს განათლებას ადამიანის უფლებების შესახებ, უნდა იცავდეს თავის უფლებებს, და ამავდროულად, პატივს სცემდეს სხვათა უფლებებსაც.³

გაეროს დეკლარაციის მიხედვით, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება აერთიანებს: განათლებას უფლებების შესახებ, რაც მოიცავს ადამიანის უფლებების ნორმებისა და პრინციპების და დაცვის მექანიზმების შესახებ სწავლებას; განათლებას უფლებების მეშვეობით, რაც გულისხმობს სწავლებას

¹ European Commission, Eurydice Brief Citizenship Education at School in Europe 2017, გვ 3-4, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://goo.gl/4HTvN8>> ნანახია 15.05.2018

² The United Nations Declaration on Human Rights Education and Training 2011, მე-2 მუხლი.

³ The Danish Institute for Human Rights, Guide to a Strategic Approach to Human Rights Education, How NHRI's can benefit from their unique position and set winning priorities, 2017, გვ 18, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://goo.gl/FacpPz>> ნანახია 15.05.2018.

იმგვარად, რომ დაცული იყოს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის უფლებები; და განათლებას უფლებებისთვის, რაც გულისხმობს ადამიანების გაძლიერებას საიმისოდ, რომ შეძლონ თავიანთი უფლებების დაცვა და ასევე სცენ პატივი სხვათა უფლებებსაც.⁴

სასკოლო ასაკში ადამიანის უფლებების შესახებ ძირითადი ფაქტების შესასწავლად და პრაქტიკაში მათ დასანერგად საჭირო უნარების გამომუშავება თანამედროვე მსოფლიოში უმნიშვნელოვანესია. ამგვარი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამოსამუშავებლად კი მნიშვნელოვანია სასკოლო გარემო, რომელიც ადამიანის უფლებებზეა დაფუძნებული, ანუ კლიმატი, სადაც მხოლოდ ცოდნა და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკმარისი არ არის და მნიშვნელოვანი ხდება, მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, ჩამოიყალიბონ და გამოიყენონ საკუთარი და სხვა ადამიანის უფლებების დასაცავად აუცილებელი პრაქტიკული უნარები. ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია როგორც ეროვნული ინსტიტუტების, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებაში, განსაკუთრებული როლი აკისრიათ. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ისინი, როგორც წესი, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სარგებლობენ და ქვეყანაში სახელმწიფოსა და სხვა აქტორებს შორის შუამავლის როლის შესრულება შეუძლიათ. 1978 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ჩატარებულ სამთავრობოთაშორისო სემინარზე პირველად შეიმუშავეს სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც განმარტებული იყო ეროვნული ინსტიტუტების როლი ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაში. ამ პრინციპების მიხედვით, ეროვნულ ინსტიტუტებს ორი ტიპის ფუნქცია მიენიჭათ: მონაწილეობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში/ცნობიერების ამაღლებაში და ადამიანის უფლებების არსებულ მდგომარეობაზე მთავრობისა და საზოგადოების ინფორმირება.⁵

1993 წელს ადამიანის უფლებებზე ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციაზე 171 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო ვენის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა. ამავე კონფერენციაზე ერთხმად აღიარეს ეროვნული ინსტიტუტების როლი ადამიანის უფლებების დაცვისა და პოპულარიზაციის პროცესში, რაც სახელმწიფოსთვის რჩევების მიცემას, ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რეაგირებას და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების და ინფორმაციის

⁴ The United Nations Declaration on Human Rights Education and Training 2011, მუხლი 2.2.

⁵ 'National Human Rights Institutions: Their Role in Education for Human Rights in Human Rights Education, Social Change and Human Rights', R.V. Pillai, 1999.

გავრცელებას მოიაზრებდა.⁶

1995 წელს კი, მსოფლიო კონფერენციის რეკომენდაციის საფუძველზე, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებების შესახებ განათლების ათწლეული გამოაცხადა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საჭიროებების შესწავლა, სტრატეგიის შემუშავება, პროგრამების გაძლიერება და გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პოპულარიზაცია. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეროვნული ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ უფლებების შესახებ განათლების პროცესში ეროვნულ დონეზე.⁷

პარიზის პრინციპების მიხედვით, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1993 წელს მიიღეს, და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების შექმნის და ფუნქციონირების ზოგად წესებს ადგენს, ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია ეროვნული ინსტიტუტების მთავარი საქმიანობაა. დაცვის ფუნქციის შესრულება მონიტორინგში, გამოძიებაში, ანგარიშების მომზადებასა და ინდივიდუალური განაცხადების მიღებაში გამოიხატება, პოპულარიზაციაში კი ტრენინგები, ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება იგულისხმება.⁸

რაც ეხება ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას, გაეროს გენერალური ასამბლეა თავის 1993 წლის რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს განსაკუთრებული როლი მიუძღვით ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და განათლებაში.⁹ პარიზის პრინციპები, უფლებების შესახებ განათლების მიმართულებით, ეროვნულ ინსტიტუტებს აკისრებს მოვალეობას, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ დონეზე საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის ადამიანის უფლებების შესახებ პროგრამების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში; ეროვნული ინსტიტუტები ასევე ვალდებული არიან, მიიღონ ყველა ზომა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად და იმუშაონ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, განსაკუთრებით კი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.¹⁰

⁶ Vienna Declaration and Programme of Action 1993. პარ 36. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://goo.gl/CQcciy> > ნანახია 15.05.2018.

⁷ United Nations Decade for Human Rights Education. United Nations General Assembly Resolution 49/184; 23 December 1994. Available at: <http://www.un-documents.net/a49r184.htm>. Human Rights Questions, Including Alternative Approaches. United Nations General Assembly Resolution 50/1; 1996.

⁸ ICC SCA General Observations as adopted in Geneva in May 2013. GO 1.2.

⁹ General Assembly Resolution A/RES/48/134, December 1993, Principles relating to the status and functioning of national institutions for protection and promotion of human rights.

¹⁰ The Paris Principles, Competence and Responsibilities, პუნქტები 3(f) (g).

ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ გაეროს დეკლარაცია (2011) პირველი ინსტრუმენტი, რომელშიც გაერომ ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ სტანდარტები ოფიციალურად გამოაცხადა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ის მოიცავს საკვანძო კომპონენტების ჩარჩოს, რაც ჰოლისტური ადამიანის უფლებების შესახებ განათლების (განათლება ადამიანის უფლებების შესახებ, უფლებების საშუალებით და ადამიანის უფლებებისთვის) უზრუნველსაყოფად, აუცილებელია. დეკლარაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. ამავდროულად, დეკლარაცია საგანგებოდ მიუთითებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების განსაკუთრებულ როლზე განათლების პროგრამების შემუშავებასა და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობაში.¹¹ ამ მიზნის მისაღწევად, დეკლარაცია სახელმწიფოებისგან ითხოვს, შექმნან დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები, რომლებიც აკმაყოფილებენ პარიზის პრინციპების მოთხოვნებს და რომელთაც, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მიმართულებით, მაკოორდინირებელი როლის შესრულებაც შეეძლება.¹²

ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს 2016 წლის რეზოლუცია კიდევ ერთხელ მიუთითებს ეროვნული ინსტიტუტების მნიშვნელობაზე ადამიანის უფლებების შესახებ განათლების პროცესში. 2011 წლის რეზოლუციისგან განსხვავებით, ამ დოკუმენტში საუბარია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მონაწილეობაზე არა მხოლოდ პროგრამების შემუშავების, არამედ განათლების შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესშიც.¹³

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების როლს უფლებების შესახებ განათლების პროცესში, გარდა მსოფლიო პროგრამებისა და დეკლარაციებისა, განსაზღვრავს გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისიც, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებების შესახებ განათლება პოპულარიზაციის (როგორც ეროვნული ინსტიტუტების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის) განმარტების ქვეშ ექცევა, მაშინ, როდესაც ეროვნული ინსტიტუტის სხვა ფუნქციები დაცვის, რჩევის მიცემის, მონიტორინგის და კოორდინაციის განმარტებების ქვეშ მოიაზრება.¹⁴

¹¹ The United Nations Declaration on Human Rights Education and Training; 2011. მე-8 მუხლი, პუნქტი 2.

¹² The United Nations Declaration on Human Rights Education and Training; 2011. მე-9 მუხლი

¹³ UN Human Rights Council Resolution A/ HRC/31/21; პუნქტი 11, 21 მარტი, 2016.

¹⁴ National Human Rights Institutions - History, Principles, Roles and Responsibilities, Office of the High Commissioner for Human Rights, 2010, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ohchr.org/Documents/Publications/PTS-4Rev1-NHRI_en.pdf> ნანახია 15.05.2018.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ხშირად მხოლოდ საინფორმაციო კამპანიებით და ფლაერების დარიგებით შემოიფარგლება. მსგავსი აქტივობა არ ჯდება გაეროს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების დეკლარაციით შემოთავაზებულ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც განათლება გავლენას ახდენს ცოდნის, უნარების და მიდგომების განვითარებაზე და განათლების დიდაქტიკურ პრინციპებს ეფუძნება. სწორედ ამის გამო, ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ აქტივობები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ამ დეფინიციას, არ უნდა მიიჩნეოდეს ადამიანის უფლებების შესახებ განათლებად, და მხოლოდ საინფორმაციო აქტივობად განიხილებოდეს.¹⁵

მსოფლიო პროგრამა ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ პირველად 2005 წელს შეიმუშავა. ეს იყო გაეროს ათწლეულის პროგრამის გაგრძელება, რომელიც 1995 წელს დაიწყო. მსოფლიო პროგრამა 4-წლიანი ფაზებისგან შედგება და მისი მიზანია ადამიანის უფლებების განათლების შესახებ ძირითადი პრინციპების და მეთოდოლოგიის პოპულარიზაცია. პირველი ფაზა (2005-2009) ეხებოდა განათლებას დაწყებით და საშუალო საფეხურზე და ეროვნულ ინსტიტუტებს ევალებოდათ მონაწილეობა განათლების პოლიტიკის განვითარებაში, პროგრამების დაგეგმვაში, კვლევებში, მასწავლებელთა ტრენინგებში, მასალების შემუშავებასა და გავრცელებაში. სამოქმედო გეგმა, რომელიც თან ერთვის პირველი ფაზის პროგრამას, უფლებების შესახებ განათლების დროს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების (Human Rights Based Approach) გამოყენების მნიშვნელობაზე საგანგებოდ მიუთითებს.¹⁶

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ვებგვერდზე განმარტებულია, როგორც მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც დაეხმარება ეროვნულ ინსტიტუტებს, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება დაგეგმონ ნებისმიერ აქტივობაში. აღნიშნული მიდგომები ის იარაღია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპების და სტანდარტების ინტეგრირებას ნებისმიერ სამუშაო პროცესში. ადამიანის უფლებათა მიდგომები ეხება როგორც შედეგს, ისე მისი მიღწევის გზებსაც; შედეგის მიღწევა მნიშვნელოვანია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ წარიმართა ეს პროცესი. ადამიანის უფლებების შესახებ განათლების ტრენინგების დაგეგმვისას და განხორციელებისას გასათვალისწინებელია ადამიანის

¹⁵ The Danish Institute for Human Rights, Guide to a Strategic Approach to Human Rights Education, 'How NHRI's can benefit from their unique position and set winning priorities', 2017, გვ. 22.

¹⁶ The Booklet Plan of Action for WPHRE I (2005-2009). (Appendix to Plan of Action), პუნქტი 2-6.

უფლებების პრინციპები (უნივერსალურობა, ურთიერთდამოუკიდებლობა, თანასწორობა, ინკლუზიურობა, ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და კანონის უზენაესობა).¹⁷

მსოფლიო პროგრამის მეორე ფაზა (2010-2014) ეხებოდა ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას უმაღლეს სასწავლებლებში და მოიცავდა ტრენინგებს პედაგოგებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის, ძალოვნებისა და სამხედრო პერსონალისთვის. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, განათლების პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, სახელმწიფო ინსტიტუტებთან მომუშავე ერთ-ერთ მთავარ რგოლად მოიხსენიება. ამას გარდა, ეროვნულ ინსტიტუტებს ევალებათ, კვლევითი საქმიანობის პროცესში პარტნიორობა გაუწიონ უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს.¹⁸

2015-2019 წლებში მიმდინარეობს მესამე ფაზის განხორციელების პროცესი, რომელიც მოიცავს პირველი ორი ფაზის შესრულებას და, ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ტრენინგების ჩატარებას მედიის თანამშრომელთათვის და ჟურნალისტებისთვის. ეროვნულ ინსტიტუტებს ამ შემთხვევაში შესაბამისი სტრატეგიისა და აქტივობების შემუშავება ევალებათ. მათვე აკისრიათ ეროვნული კოორდინატორის როლის შესრულებაც. რაც შეეხება მთავრობას, მისი მოვალეობაა საკონტაქტო ინსტიტუტის დასახელება, რომელიც იმუშავებს ეროვნულ ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.¹⁹

ევროპის საბჭოს ასევე აქვს ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც მხარს უჭერს და ხელს უწყობს მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. 1985 წელს მინისტრთა კომიტეტმა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის გამოაქვეყნა რეკომენდაცია R (85)7, ადამიანის უფლებების სკოლაში სწავლების შესახებ. რეკომენდაციაში საგანგებოდ იყო მითითებული, რომ ყველა ახალგაზრდას უნდა მიეცეს საშუალება, ისწავლოს ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც მოსამზადებელ სამუშაოზე, პლურალისტურ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის. რეკომენდაცია დამტკიცდა ევროპის საბჭოს მეორე სამიტზე, 1997 წელს, სადაც სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა გადამწყვიტეს, „განხორციელებინათ ინიციატივა დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების შესახებ მოქალაქეებისთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით“.

¹⁷ Frequently asked questions on a human rights-based approach to development cooperation, Office of the High Commissioner for Human Rights 2006. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www.ohchr.org/Documents/Publications/FAQen.pdf>> ნანახია 15.05.2018.

¹⁸ The Booklet Plan of Action for WPHRE I (2005-2009), პუნქტები 5, 24.

¹⁹ Plan of Action for WPHRE III (2015-2019), პუნქტები 11, 20.

ევროსაბჭოს წამყვანი პროექტი, „დემოკრატიული მოქალაქეობა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლება“, 1997 წელს დაიწყო. 2005 წელს, ვარშავაში, მესამე სამიტზე, პროექტს პოლიტიკური იმპულსი მიენიჭა. სამიტზე სახელმწიფოსა და მთავრობების მეთაურებმა ევროპის საბჭოს მოუწოდეს, „გაზარდოს ძალისხმევა განათლების სფეროში, რომლის მიზანია განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ახალგაზრდისათვის ევროპის მასშტაბით, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და ხელი შეეწყოს ადამიანის უფლებების შესახებ მრავალმხრივ სწავლებას“. კონკრეტული შედეგები მოიცავს სახელმძღვანელო ტექსტების მიღებას, პოლიტიკური ჩარჩოების განვითარებას, ქსელების და ფორუმების შექმნას, ისევე როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული უხვი ლიტერატურის გავრცელებას, რაც ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ არის დამტკიცებული და აერთიანებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების პაქტსა და მასალებს მასწავლებლებისთვის.

პროექტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მხარდაჭერაში-განათლების სისტემაში ჩართვის ხელშეწყობაში. 2010 წელს, მინისტრთა კომიტეტის **CM/Rec (2010) 7** რეკომენდაციის ფარგლებში მიღებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების ევროპის საბჭოს ქარტია წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, სკოლების სასწავლო გეგმაში შეიტანონ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება ყველა საფეხურზე: სკოლამდელ, დაწყებით და საშუალო საფეხურზე, ასევე, პროფესიული სწავლების დონეზე. ქარტია ასევე მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, „ხელი შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების როლს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სფეროში, განსაკუთრებით არაფორმალურ განათლებაში. მათ უნდა სცნონ ისინი და მათი აქტივობები, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ღირებული ნაწილი, მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში დაეხმარონ მათ და სრულად გამოიყენონ გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს განათლების ყველა ფორმას“. ქარტიის მიხედვით, ყველა სახელმწიფოს მიზანი „ყველა ადამიანისთვის საკუთარ ტერიტორიაზე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მიღების შესაძლებლობა“ უნდა იყოს. ქარტია განსაზღვრავს ადამიანის უფლებების სწავლების მიზნებსა და პრინციპებს და რეკომენდაციას უწევს ქმედებას მონიტორინგის, შეფასებისა და კვლევის სფეროებში. წესდებას თან ახლავს განმარტებითი მემორანდუმი, რომელიც გვანჯდის ქარტიის პრაქტიკული გამოყენების შესახებ დეტალებსა და მაგალითებს. ევროპის საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტმა განათლების საკითხებზე მოამზადა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების ევროპული ქარტია. საბჭო მხარს უჭერს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მსოფლიო პროგრამის სამოქმედო

გეგმის პოპულარიზაციას და მონიტორინგს ევროპულ დონეზე.

ადამიანის უფლებათა სწავლების როლი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის კუთხით, ევროპის საბჭოში 1999 წელს ადამიანის უფლებათა კომისიის თანამდებობის შექმნით, კიდევ უფრო განმტკიცდა. კომისიარს ევალება „ადამიანის უფლებათა შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა“, ასევე, წევრი სახელმწიფოების დახმარება ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესრულებაში, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირება და ევროპის მასშტაბით ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ რჩევებისა და რეკომენდაციების მიწოდება.

მანდატის შესრულებისას, კომისარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა სწავლებას და მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა და პატივისცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები ინფორმირებულნი არიან მათი უფლებების შესახებ და იციან, როგორ გამოიყენონ ისინი. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ევროპული სტანდარტების ეფექტიანად განხორციელების ძირითადი ნაწილია. ევროპის საბჭო წევრ სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაძლიერებისკენ მოუწოდებს. „ადამიანის უფლებათა სწავლება პრიორიტეტულია - უფრო კონკრეტული ქმედებაა საჭირო“ - განაცხადა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა. „უფრო მეტი ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა შრომის ბაზრისთვის მომზადებას, ვიდრე მათთვის ცხოვრებისეული უნარების განვითარებას, რაც ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებასაც მოიცავს“. ყურადღება უნდა გამახვილდეს ორივე ასპექტზე: „ადამიანის უფლებების სწავლება განათლების გზით“ და „ადამიანის უფლებები განათლებაში“.²⁰

1. ადამიანის უფლებების სწავლება საქართველოში/საერო-თავმოყრისო და საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულა ადგენს, რომ დეკლარაციაში მოცემული უფლებების დაცვა განათლების და სწავლების საშუალებით უნდა ხდებოდეს. დეკლარაციის მიხედვით, განათლების მიზანი უნდა იყოს პიროვნების სრული განვითარება და ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის გამყარება. განათლების მიზანია ტოლერანტობის და მეგობრული ურთიერთობების გამყარება

²⁰ ევროსაბჭოს სახელმძღვანელო - კომპასი „ახალგაზრდებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“, შესავალი - ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება <https://www.coe.int/en/web/compass/introducing-human-rights-education#5>

სხვადასხვა ერს, ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის და ამ გზით გაეროს საქმიანობისთვის ხელშეწყობა მშვიდობის დამყარების საქმეში.²¹

საყოველთაო დეკლარაციის პათოსი განმეორებულია გაეროს პაქტებში, რომლებიც სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო აქტებია და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ. საერთაშორისო პაქტი ეკონომი-კური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ადგენს, რომ განათლების უფლება მიმართული უნდა იყოს პიროვნების და მისი ღირსების სრული განვითარებისკენ. განათლება არის იმის წინაპირობა, რომ ადამიანები ჩართულები იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპზე და ხელს უწყობდნენ ტოლერანტული და მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ერებს, მათ შორის, ყველა რასობრივ, ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფს შორის.²²

მსგავსი შინაარსის ვალდებულებებს უნესებს ხელშეკრულების ხელისმომწერ მხარეებს გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ. კონვენცია დამატებით ავალდებულებს მხარეებს მოახდინონ კონვენციაში მოცემული უფლებების პოპულარიზაცია როგორც ბავშვებს, ასევე ზრდასრულებს შორის.²³

ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე აქტიურად მუშაობენ ევროპის საბჭოს ფარგლებშიც. როგორც უკვე აღინიშნა, 2010 წელს ევროსაბჭოს ეგიდით მიღებული იქნა ქარტია სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე²⁴, რომელიც ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, საშუალება მისცენ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს, მიიღოს სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ განათლება. ქარტიის მეორე ნაწილში მოცემულია ის ათი მიზანი, რომლებითაც სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ განათლების უფლების შესახებ პოლიტიკის, კანონმდებლობის და პრაქტიკის შემუშავების დროს. ეს მიზნებია: ა. ყველა მოქალაქის უფლება, მიიღოს სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ განათლება; ბ. ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა განათლების უფლების შინაარსის ფორმირების პროცესში; გ. სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ განათლება მოიცავს ყველა სახის განათლებას, მათ შორის, ფორმალურს და არაფორმალურს; დ. არასამთავრობო და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართულობის მხარდაჭერა განათლების პროცესში; ე. განათლების პოპულარიზაცია სკოლის მმართველობაში; ვ. სოციალური და ინტელექტუალური დიალოგის წახალისება; ზ. მოსწავლეთა

²¹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 10 დეკემბერი 1948, მუხლი 26.2.

²² International Covenant on Economic, Social and Cultural Rights 1966, მუხლი 13.1.

²³ The Convention on the Rights of the Child, მუხლები 29.1b და 42.

²⁴ Recommendation CM/Rec(2010)7 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education (Adopted by the Committee of Ministers on 11 May 2010 at the 120th Session).

გაძლიერება ცოდნით და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობით; თ. პროფესიონალთა დატრენინგება; ი. თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, როგორებიცაა, ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, მშობლები, მედია და სხვ.; კ. საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა.

ევროსაბჭოს ქარტია განმარტავს სამოქალაქო განათლებას და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. ორივე მათგანი ერთ მიზანს ემსახურება და განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია. სამოქალაქო განათლება მოიცავს ყველა ტიპის განათლებას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკას და აქტივობას, რომელიც აძლევს შემსწავლელს ცოდნას და უნარებს და აძლიერებს მას იმისთვის, რომ დაიცვას დემოკრატიული უფლებები და პასუხისმგებლობები საზოგადოებაში, პატივი სცეს მრავალფეროვნებას და აქტიურად მონაწილეობდეს დემოკრატიულ ცხოვრებაში დემოკრატიის დასაცავად და კანონის უზენაესობის პოპულარიზაციისთვის (მუხლი 2 (ა)).

ადამიანის უფლებების შესახებ განათლება განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ტიპის განათლება, ტრენინგი, ცნობიერების ამაღლება, ინფორმაცია, პრაქტიკა და აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა გაძლიერებას ცოდნით და უნარებით იმისათვის, რომ შეძლონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის შექმნა საზოგადოებაში, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები (მუხლი 2 (ბ)).

ევროსაბჭოს ქარტიის მიხედვით, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ყველა ტიპის განათლების პროგრამაში უნდა იყოს გათვალისწინებული. ასეთებია: ფორმალური და არაფორმალური განათლება, დაწყებითი განათლება, სკოლის განათლება, უმაღლესი განათლება, ისევე როგორც ზოგადი და პროფესიული განათლება (მუხლი 6).

2016-2017 წლებში ევროსაბჭოს ინიციატივით კვლევა ჩატარდა იმის გასარკვევად, რამდენად მიაღწიეს ქარტიის მიზნებს წევრ სახელმწიფოებში. გამოკითხულ სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მნიშვნელობას, თუმცა გამოიკვეთა პრობლემებიც. სახელმწიფოთა გარკვეულ ნაწილში ადამიანის უფლებების შესახებ განათლება, არც პოლიტიკის დონეზე და არც კანონმდებლობაში, მოხსენიებული არ არის. ხოლო იქ, სადაც მოხსენიებულია, არის ცდომილება პოლიტიკასა და მის აღსრულებას შორის. სახელმწიფოთა უმრავლესობას შემუშავებული არ აქვს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების ხარისხის შესამოწმებელი კრიტერიუმები.²⁵

²⁵ LEARNING TO LIVE TOGETHER, Council of Europe Report on the state of citizenship and human rights education in Europe, Council of Europe, ივნისი 2017, გვ 6, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://goo.gl/DDRKej>> ნანახია 15.05.2018.

რაც შეეხება საქართველოს, გამოკითხვის შედეგად იგი იმ ქვეყნების სიაში მოხვდა, სადაც ადამიანის უფლებების შესახებ განათლების პოპულარიზაცია ევროსაბჭოს ქარტიის მიხედვით მიმდინარეობს, კერძოდ, თანამშრომლობა ადამიანის უფლებების შესახებ განათლების კოორდინატორთან საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვის დროს ხდება.²⁶ საქართველო ასევე მოხვდა იმ სახელმწიფოთა რიცხვში, სადაც ადამიანის უფლებების შესახებ განათლება გათვალისწინებულია ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების პოლიტიკასა და სტრატეგიაში.²⁷

ბაეროს მდგრადი განვითარების მიზნები

მდგრადი განვითარების მიზნები 17 მიზანს აერთიანებს და მათი მიღწევა 2030 წლამდე დღის წესრიგით არის განერილი. მდგრადი განვითარების მიზნები შემუშავებულია არა მხოლოდ განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, არამედ ყველასთვის და მათი ამოცანაა ყველა მონყვლადი ჯგუფის დახმარება, რათა არავინ დარჩეს უწყურადღებოდ.²⁸

მეოთხე მიზანი საუბრობს განათლების უფლებაზე და სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. კონკრეტულად ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე საუბრობს 4.7 მიზანი, რომლის მიხედვითაც 2030 წლისთვის ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს ცოდნა და უნარები, მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციის გასაწევად. ადამიანებს განათლება ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობის და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის გზით უნდა გადაეცეთ.

სახელმწიფოებს ევალებათ, სისტემურად გააკონტროლონ დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. 2016 წელს შემუშავდა 4.7 მიზნის ინდიკატორი. ამ ინდიკატორის მიხედვით უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად გლობალურია სამოქალაქო განათლება, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის გათვალისწინებას ეროვნული განათლების პოლიტიკაში, სასწავლო პროგრამებში, მასწავლებელთა სწავლებასა და სტუდენტების შეფასებაში ყველა დონეზე.

საქართველოში ზოგადი განათლების სფერო ზოგადი განათლების შესახებ

²⁶ იქვე გვ 87.

²⁷ იქვე გვ. 102.

²⁸ Preamble, Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld>> ნანახია 15.05.2018.

კანონით რეგულირდება. კანონი განსაზღვრავს განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს: ა. მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; ბ. მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა (მუხლი 3.1).

კანონი განმარტავს ამ მიზნების მიღწევის საშუალებებსაც, მათ შორის - ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; საჯარო სკოლების დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისგან და კერძო სკოლების დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისგან; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას; ინკლუზიური განათლების დანერგვას (მუხლი 3.2 (ა) (გ) (ზ) (თ)).

სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელ საგნობრივ ჯგუფებს, საგნების მიხედვით საათებს, მათ გადანაწილებას და აუცილებელ დატვირთვას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებს და რეკომენდაციებს (მუხლი 5.1). ამავე მუხლით გათვალისწინებულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლამ შესაძლოა შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (მუხლი 5.1¹). კანონი განსაზღვრავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემავალ საგნობრივ ჯგუფებს: ა. სახელმწიფო ენა; ბ. მათემატიკა; გ. უცხოური ენები; დ. საზოგადოებრივი მეცნიერებები; ე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ვ. ტექნოლოგიები; ზ. ესთეტიკური აღზრდა; თ. სპორტი (მუხლი 5.3).

საგულისხმოა, რომ საგნობრივი ჯგუფების ჩამონათვალში კანონი კონკრეტულად არ მიუთითებს ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე და მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლება, რომ ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური და არადისკრიმინაციული (მუხლი 5.6).

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მეორე თავი საკმაოდ დეტალურია და საუბრობს იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გააჩნიათ. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ მეორე თავით დაცული უფლებებით (მუხლი 8.1). ეს თავი

განსაზღვრავს ისეთ უფლებებს, როგორცაა, ზოგადი განათლების²⁹ მიღების უფლება (მუხლი 9), სკოლის მართვაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის მონაწილეობის უფლება (მუხლი 10), გასაჩივრების უფლება, რომელიც გულისხმობს სკოლის მიერ გასაჩივრების მექანიზმის შექმნის ვალდებულებას (მუხლი 12), ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის გათავისუფლებას პოლიტიზებისა და რელიგიური ინდოქტრინიზაციისგან (მუხლი 13), გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 14), შეკრების თავისუფლება (მუხლი 15), გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 16), პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (მუხლი 17), რწმენის თავისუფლება (მუხლი 18), სასკოლო დისციპლინის დაცვა მოსწავლის და მასწავლებლის უფლებების პატივისცემის გზით (მუხლი 19), ძალადობის დაუშვებლობა და უსაფრთხოება (მუხლი 20), მასწავლებლის მიერ სკოლის დირექციისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის ფაქტზე (მუხლი 20¹).

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადი განათლების შესახებ კანონის მეორე თავი საკმაოდ მოცულობითია და შეესაბამება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შესახებ არსებულ ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონმდებლობას. თუმცა ამ კვლევის მთავარი მიზანი იმის შემოწმებაა, თუ როგორ ხდება აღნიშნული უფლებების შესახებ მოსწავლეების, მათი მშობლების და მასწავლებლების ინფორმირება და განათლება. ამ საკითხებთან დაკავშირებით კანონი საკმაოდ ზედაპირულია. კანონის მიხედვით, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ იცოდნენ თავიანთი უფლებების და მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. ამისათვის სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ ყოველ ახალ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გააცნოს მათი უფლებები და თავისუფლებები. ასევე, სკოლა ვალდებულია ამ უფლებების შეზღუდვის შემთხვევაში გონივრულ ვადაში განუმარტოს მათ შეზღუდვის საფუძველი (მუხლი 10). არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა ფორმით (ზეპირი გასაუბრება თუ სპეციალური კურსი) უნდა მიენოდოს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, ვინ უნდა გააკეთოს ეს (სკოლის ადმინისტრაციამ თუ ადმინისტრაციის მიერ დანიშნულმა სპეციალურმა წარმომადგენელმა) და რა შინაარსის ინფორმაცია უნდა მიენოდოთ. ასევე საგულისხმოა კანონის ჩანაწერი მასწავლებელთა განათლების შესახებ, სადაც არაფერია ნათქვამი ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე (მუხლი 21³).

2018 წლის მარტში გაიმართა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის პრეზენტაცია, რომელიც

²⁹ ამ კანონის მიხედვით, ზოგადი განათლება განმარტებულია, როგორც განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის (მუხლი 2 (პუნქტი „მ“)).

მიზნად ისახავს საჯარო სკოლებში უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებას მანდატურის სამსახურის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების გაზრდით.³⁰ ამ კანონპროექტის მიხედვით, მანდატურს უფლება ეძლევა გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენოს ზედაპირული დათვალიერების წესი (კანონპროექტი, მუხლი 1.3), შეაყოვნოს მოსწავლე, გამოიყენოს მის წინააღმდეგ ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები (კანონპროექტი, მუხლი 1.10). სავალდებულო ხდება სკოლებში სათვალთვალ კამერების დამონტაჟება, რომელთა ადმინისტრირებასაც ახორციელებს მანდატური (კანონპროექტი, მუხლი 1.4). სკოლამ უნდა აწარმოოს გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზა, რომელზე წვდომაც ექნება შინაგან საქმეთა სამინისტროს (კანონპროექტი, მუხლი 1.4). კანონპროექტის მიხედვით, გამკაცრდა მოთხოვნები მანდატურის პოზიციის დაკავების მსურველთათვის. ზოგადი განათლების მოთხოვნა შეიცვალა უმაღლესი განათლების მოთხოვნით; ასაკი კინაცვლად 20-ისა, 21 წლით განისაზღვრა. ამას გარდა, მანდატურს გავლილი უნდა ჰქონდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მოსამზადებელი კურსები, რომლებიც, სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის/სტუდენტის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, ასევე, ფიზიკური მომზადებისა და პრაქტიკულ კომპონენტებს“ (კანონპროექტი, მუხლი 48^{1.3})³¹.

აღსანიშნავია, რომ არსებული კანონპროექტის მიხედვით, მანდატურს ექსპლიციტურად არ მოეთხოვება, ჰქონდეს ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ. ეს მაშინ, როდესაც საგრძნობლად იზრდება მანდატურის უფლებამოსილება და უფლებამოსილების ზრდასთან ერთად, იზრდება იმის რისკიც, რომ დაირღვეს ბავშვის უფლებები. სწორედ ბავშვის უფლებების დასაცავადაა აუცილებელი, რომ მოსამზადებელი კურსი, რომელიც კანონპროექტის მიხედვით ერთობლივად უნდა შეიმუშაონ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კანონპროექტი, მუხლი 5), განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდეს ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას.

³⁰ მანდატურის სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებით კანონპროექტი მომზადდა, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www.mes.gov.ge/content.php?id=8116&lang=geo>> ნანახია 15.03.2018.

³¹ კანონპროექტის პირველადი ვერსია, ინიცირების თარიღი 16.04.2018, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://info.parliament.ge/#law-drafting/15464>

მასწავლებლის და სკოლის დირექტორის სტანდარტი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტები განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც უნდა გააჩნდეს მასწავლებელსა თუ სკოლის დირექტორს. აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორის სტანდარტში არ გახლავთ მოთხოვნა ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნისა და უნარების თაობაზე (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №115/6).³² არც 2008 წლის 21 ნოემბერს გამოცემული მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს ცოდნასა და კომპეტენციებს ადამიანის უფლებათა სფეროში (სტანდარტში ცვლილებები შევიდა 2014 წლის 28 მარტს), თუმცა გარკვეული ჩანაწერებია ინტერკულტურული სწავლებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ მასწავლებლის ცოდნისა და უნარების თაობაზე³³. რაც შეეხება მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებს, ადამიანის უფლებათა შესახებ გარკვეული ცოდნისა და უნარების, მათ შორის რიგი საერთაშორისო კონვენციების შესახებ აუცილებელი ცოდნის, მოთხოვნა ასახულია მხოლოდ-დამხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის სტანდარტებში. ამ ფორმატით არსებული ჩანაწერი მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნა და უნარები ექსკლუზიურად საზოგადოებრივი მეცნიერების მასწავლებლებს მოეთხოვებათ, სხვა მასწავლებლებს კი ამის საჭიროება არ გააჩნიათ, რაც ფუნდამენტურად არასწორი მიდგომაა და ამ კუთხით, არსებული მიდგომა და კანონმდებლობა დაუყოვნებლივ ცვლილებებს საჭიროებს.

ეთიკის კოდექსი (მანდატური, მასწავლებელი, დირექტორი, მოსწავლე)

სკოლის მანდატურის ეთიკის კოდექსი³⁴ განსაზღვრავს მანდატურის ზოგადი ქცევის წესებს. მანდატური თავის საქმიანობაში უნდა ეყრდნობოდეს პროფესიონალიზმს და ეთიკურ ნორმებს (მუხლი 2.1), უნდა იყოს ობიექტური ყველას მიმართ (მუხლი 1.3), მუდმივად უნდა იმაღლებდეს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და კვალიფიკაციას (მუხლი 1.4). მანდატური ვალდებულია, ყოველთვის კანონის ფარგლებში მოქმედებდეს, წესრიგს იცავდეს სკოლაში და უზრუნველყოფდეს უსაფრთხო გარემოს შექმნას (მუხლი 2.5). რაც შეეხება

³² სკოლის დირექტორის პროფესიული სტანდარტი (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №115/6).

³³ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (2008). ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://goo.gl/7p479U>>ნანახია 15.03.2018.

³⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №2/6 სკოლის მანდატურის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, 2011 წლის 6 იანვარი.

ადამიანის უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, მანდატური ვალდებულია, პატივს სცემდეს მათ და იცავდეს ადამიანის თავისუფლებას და ღირსებას (მუხლი 2.5). კოდექსი ექსპლიციტურად არ ავალდებულებს მანდატურს ჰქონდეს ცოდნა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შესახებ და არაფერს ამბობს ამ ცოდნის მიღების გზებზე.

მსგავსი ვითარება გვაქვს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის³⁵ შემთხვევაშიც. მასწავლებელი დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია პროფესიული ვალდებულების შესრულებისას (მუხლი 3.1), პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და ეთიკის კოდექსის ნორმებით (მუხლი 3.2), ხელს უწყობს მოსწავლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას (მუხლი 3.3).

რაც შეეხება უფლებების დაცვას, მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლეს ადამიანის უფლებათა დაცვის მაგალითს აძლევდეს (მუხლი 3.4), თუმცა არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა უფლებებზეა საუბარი და არც იმაზე, რომ თავად მასწავლებელია პირველ რიგში ვალდებული, ფლობდეს შესაბამის ცოდნას.

მასწავლებელთა მსგავსად, სკოლის დირექტორიც მაგალითი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით (მუხლი 3.4), სასკოლო დისციპლინის დაცვა კი იმგვარი მეთოდებით უზრუნველყოფდეს, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოვა მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა, და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემასთან (მუხლი 3.7).³⁶ ამ შემთხვევაშიც, ასევე არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რამდენად არის ვალდებული თვითონ სკოლის დირექტორი, ფლობდეს ცოდნას ადამიანის უფლებების შესახებ.

რაც შეეხება მოსწავლეებს, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი³⁷ მოსწავლეს ავალდებულებს, საკუთარი აზრი და შეხედულებები ისე გამოხატოს, რომ არ შელახოს სხვათა უფლებები (მუხლი 7.3).

³⁵ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 14 ივლისი.

³⁶ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №80/ნ სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 30 აგვისტო.

³⁷ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №79/ნ მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 30 აგვისტო.

2. კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. პირისპირ ინტერვიუების გზით გამოიკითხნენ კვლევის ფარგლებში შერჩეული სკოლების მასწავლებლები, მოსწავლეები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კვლევის ფარგლებში შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი-კითხვარი, რომელიც მოიცავდა ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ შეკითხვებს. შემუშავდა ცალ-ცალკე კითხვარები მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის.

წინასწარ შერჩეულ სკოლებში ინტერვიუებას წარმართავდნენ სახალხო დამცველის ოფისის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები: სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემია, ბავშვის უფლებათა ცენტრი, თანასწორობის დეპარტამენტი.

შერჩევა

კვლევისთვის შეირჩნენ მონაწილეები, კერძოდ, 380 მასწავლებელი, 960 მოსწავლე და 140 ადმინისტრაციის წარმომადგენელი. თითო სკოლაში ჩატარდა საშუალოდ 20-21 ინტერვიუ, სკოლის ზომიდან გამომდინარე: შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 15 მოსწავლე თითო სკოლიდან, ადმინისტრაციის საშუალოდ 2 წარმომადგენელი და საშუალოდ 6 მასწავლებელი.

ცხრილი 2.1.-ში წარმოგიდგენთ შერჩეული სკოლების, შესაბამისი მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რაოდენობას და შერჩევიდან გამომდინარე სანდოობის პროცენტს.

ცხრილი 2.1. შერჩევის სანდოობა

	სკოლების რაოდენობა	ინტერვიუების რაოდენობა	სანდოობის დონე (95%)
მოსწავლეები, სულ (სკოლაში საშუალოდ 15 მოსწავლე)	64	960	3.1%
საჯარო სკოლებში	47	700	3.7%
კერძო სკოლებში	17	260	6.0%
ეთნიკური უმცირესობები	17	260	6.0%

მასწავლებლები (სკოლაში მასწავლებელთა რაოდენობის პროპორციულად)	64	380	5.0%
ადმინისტრაციის წარმომადგენელი	64	140	8.0%
(ერთ სკოლაში საშუალოდ 2 - ინტერვიუ)			

აღნიშნული ჯგუფები ჩაითვალა, როგორც დამოუკიდებელი გენერალური ერთობლიობები. ამდენად, რეპრეზენტატული შერჩევა აიგო თითოეულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში. განისაზღვრა მოსწავლეთა საჭირო რაოდენობა კერძოდ სახელმწიფო სკოლებში, ეთნიკურ უმცირესობებში თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის (კლასისათვის) თითოეულ რეგიონში/რაიონში. კვლევის მეთოდოლოგია დაეყრდნო სხვადასხვა მონაცემთა ანალიზს.

შეჯამება

ა) მოსწავლეთათვის

საწყის ეტაპზე, ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობა რეგიონებისათვის მოსწავლეთა რაოდენობის პროპორციულად გადანაწილდა. ასევე, სახელმწიფო და კერძო სკოლებს შორისაც, ამ სექტორებში მოსწავლეთა რაოდენობის პროპორციულად. შერჩეულ 64 საჯარო სკოლაში საშუალოდ 15 ინტერვიუ ჩატარდა. თითოეულ შერჩეულ სკოლაში შეირჩა კლასები, თითოეულ კლასში კი 3 მოსწავლე გამოიკითხა. ყოველივე ამან უზრუნველყო რეპრეზენტატული შერჩევა შეფასების მაქსიმუმ 3.2%-იანი ცდომილებით (ცხრილი №2.2.). პირველადი შერჩევის წერტილი (PSU) - სკოლა; მეორადი შერჩევის წერტილი (SSU) - კლასი; ბოლო შერჩევის წერტილი - მოსწავლე.

პირველადი და მეორადი შერჩევის წერტილები განისაზღვრება PPS (Probability Proportional to Size) მეთოდით; ბოლო შერჩევის წერტილები კი, სისტემური შემთხვევითი შერჩევის (SysRS) გამოყენებით (კერძოდ, მოსწავლეებს შორის შერჩევის ინტერვალი შემდეგნაირად განისაზღვრა: ყველა მოსწავლის რაოდენობა გაიყო შესარჩევ მოსწავლეთა რაოდენობაზე (მაგალითად, თუ რომელიმე კლასში 60 მოსწავლეა და ჩვენ 3 უნდა შევარჩიოთ, ინტერვალი იქნება $60/3=20$). ყოველი ინტერვიუ ერისთვის წინასწარ განისაზღვრა პირველი შემთხვევითი ციფრი და, ამ ციფრით დაწყებული, შეირჩეოდა მოსწავლე ჟურნალში ინტერვალის შესაბამისად).

ცხრილი 2.2.

რეგიონი	მოსწავლეები					
	IV-III X	IX	X	XI	XII	სულ
თბილისი	71	71	71	71	71	355
აჭარა	25	24	24	24	24	121
იმერეთი	27	27	27	27	27	135
კახეთი	12	12	12	12	12	60
სამეგრე- ლო-ზემო სვანეთი	15	15	15	15	15	75
სამცხე- ჯავახეთი	6	7	7	7	7	34
ქვემო ქართლი	21	21	21	21	21	105
შიდა ქართლი	15	15	15	15	15	75
სულ	192	192	192	192	192	960
სანდოო- ბის დონე (95%)						3.20%

ბ) მასწავლებლებისათვის

კვლევაში მონაწილე სკოლები შეირჩა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან (როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლები). შერჩევის მოდელად ავირჩიეთ ორსაფეხურიანი სტრატეგიიცილებული შემთხვევითი შერჩევის მოდელი.³⁸ შერჩევის ზომა გახლდათ 380 ინტერვიუ (64 სკოლაში) მთელ ქვეყანასთან მიმართებაში. შერჩევის მოდელი უზრუნველყოფს შეფასების მაქსიმუმ 5%-იან ცდომილებას.

საწყის ეტაპზე, შერჩეული სკოლები რეგიონებისათვის გადანაწილდა მასწავლებელთა რაოდენობის პროპორციულად. ასევე სახელმწიფო და

³⁸ შერჩევა დაეფუძნა საქართველოს რეგიონებში სკოლებისა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს (მონაცემები აღებული იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდიდან).

კერძო სკოლებს შორის, ამ სექტორებში მასწავლებელთა რაოდენობის პროპორციულად. პირველადი შერჩევის წერტილი (PSU) იყო სკოლები (კერძო ან საჯარო); მეორადი შერჩევის წერტილი (SSU) იყო მასწავლებლები. თითოეულ შერჩეულ სკოლაში მასწავლებელი სისტემური შემთხვევითი შერჩევის (Systemic Random Sampling) პრინციპის გამოყენებით ამოირჩა (ცხრილი №2.3).

ბ) ადმინისტრაციისთვის

კვლევაში მონაწილე სკოლები შეირჩა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან (როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლები). ყველა შერჩეულ სკოლაში გამოიკითხა საშუალოდ ადმინისტრაციის 2 წარმომადგენელი; სულ 64 სკოლაში ჩატარდა 140 ინტერვიუ. აღნიშნული შერჩევა უზრუნველყოფს კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობას (ცდომილება – მაქსიმუმ 8%) (ცხრილი №2.3.).

ცხრილი 2.3.

რეგიონი	მასწავლებელი	ადმინისტრაცია
თბილისი	171	56
აჭარა	56	18
იმერეთი	59	21
კახეთი	15	8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	24	11
სამცხე-ჯავახეთი	12	5
ქვემო ქართლი	22	11
შიდა ქართლი	21	10
სულ	380	140
სანდოობის დონე(95%)	5%	8%

კვლევის შედეგები

3. ადამიანის უფლებები სასწავლო პროცესში

სასწავლო პროცესში ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით

კვლევა რამდენიმე თვალსაზრისით განხორციელდა: (ა) ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით; (ბ) სასკოლო დონეზე მასწავლებელთა მიერ ადამიანის უფლებათა სწავლება როგორც საგაკვეთილო, აგრეთვე კლასგარეშე აქტივობების, სადამრიგებლო საათისა თუ ზოგადი სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების მეშვეობით. ამ მიმართულებით კვლევამ საინტერესო ტენდენციები წარმოაჩინა და მათ დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ:

(ა) ადამიანის უფლებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში

საქართველოში ამჟამად მოქმედებს 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა. 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა დაწყებითი კლასების საფეხურზე 2018-2019 აკადემიური წლიდან ივარაუდება, ხოლო საბაზო საფეხურის სასწავლო გეგმის დანერგვა - 2019-2020 სასწავლო წლიდან. შესაბამისად, არსებული სიტუაციის ანალიზისთვის განვიხილავთ მოქმედ სასწავლო გეგმას ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით; ნაწილობრივ, შევეხებით გარკვეულ ცვლილებებს, რომლებიც იგეგმება საბაზო საფეხურზე. ამასთანავე, გარკვეულ რეკომენდაციებს წარმოვადგენთ ეროვნული სასწავლო გეგმისა და სწავლების პროცესში ადამიანის უფლებათა სწავლების ასახვის თვალსაზრისით.

მოქმედი 2011-2016 ეროვნული სასწავლო გეგმა და ადამიანის უფლებათა სწავლება

არსებული ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანის უფლებების საკითხები წარმოდგენილია საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, ისევე როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების ჩამონათვალში, თუმცა აღარ არის გაშლილი სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში. ამასთანავე, ადამიანის უფლებების საკითხები ვრცლად არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში, ნაწილობრივ კი - სპორტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეროვნულ სასწავლო გეგმებში. ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ დებულებები გვხვდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სადამრიგებლო საათშიც.

კვლევამ აჩვენა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ადამიანის უფლებები მხოლოდ იმ მიმართულებებსა და დარგებში ისწავლება, რომლებშიც ის ეროვნული სასწავლო გეგმითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, იმისათვის, რათა ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება აისახოს, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი და არ ეფუძნებოდეს მხოლოდ საზოგადოებრივ მეცნიერებებში სწავლებას,

უმნიშვნელოვანესია, რომ ადამიანის უფლებების საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველა საგნობრივ ჯგუფში იყოს ასახული. ადამიანის უფლებების საკითხებს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ჩამონათვალში წარმოდგენილი დებულება, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების საკითხებს და ამ მიმართულებით ზოგადი განათლების მიზნებს, კერძოდ პუნქტ „თ“-ში ვკითხულობთ, რომ მოზარდი უნდა: „თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“. როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებების სწავლება მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ კომპეტენციად განიხილება ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც, კერძოდ, პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების ჩამონათვალში წარმოდგენილია „ი“ პუნქტის სახით:“ ი) ჰქონდეს სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.“.

საგნებს მიღმა ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა სწავლებას სადამრიგებლო საათის მეშვეობით, კერძოდ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სადამრიგებლო საათთან დაკავშირებულ მუხლში ვკითხულობთ: „დამრიგებლის მოვალეობებია: ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანანესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.)“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაცხადებული პოლიტიკის თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში აღიარებული და წარმოდგენილია. კონკრეტულ საგნობრივ მიმართულებებს ქვემოთ განვიხილავთ.

ადამიანის უფლებათა სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ მიმართულებაში

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა საკითხები დეტალურად არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, სამოქალაქო განათლება) ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რასაც ვერ ვიტყვით სხვა საგნების ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. ამ თვალსაზრისით, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანი და სპორტი. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანში, ადამიანის უფლებების სწავლების თვალსაზრისით, კონკრეტული მიმართულებებია წარმოდგენილი და განხილული. კერძოდ, საუბარია ინტელექტუალური საკუთრების, პირადი ინფორმაციის დაცვის, ადმინისტრირებისას სხვისი უფლებების შეზღუდვის დაუშვებლობის, საავტორო უფლებების საკითხებზე (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016). სპორტის ეროვნული სასწავლო გეგმა აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებზე ბავშვთა უფლებების მიმართულებით, აგრეთვე, მოსწავლის ჩართულობაზე გარემოს დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის, ხანდაზმულებზე მზრუნველობის გაერთიანებაში (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016).

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში, ადამიანის უფლებათა საკითხები სამივე საფეხურზე, როგორც დანყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე, საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი და მოიცავს ადამიანის უფლებათა შესახებ როგორც ცოდნას, ასევე დამოკიდებულებებისა და უნარების ფორმირებას. აქვე აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ფარგლებში იგეგმება სამოქალაქო განათლების კომპონენტის გაძლიერება. სამინისტრო 2019 წლიდან საბაზო საფეხურზე ახალი საგნის, „მოქალაქეობის“ შემოტანას გეგმავს, რომელიც თავის თავში უფრო აქცენტირებულად გააერთიანებს სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის საკითხებს სწორედ სამოქალაქო განათლების და ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით. თუმცა წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ძირითადი აქცენტი დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებაზე კეთდება და ძალიან მწირად არის წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა სწავლება. მნიშვნელოვანია აქცენტების გაკეთება არამხოლოდ ვალდებულებებზე, მოქალაქეობის სწავლების კონტექსტში, არამედ უფლებებზეც. შესაბამისად, საგანს, „მოქალაქეობა“, ეს კომპონენტი ნამდვილად აკლია.

ევროპის საბჭოს 2010 წლის ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ, აღიარებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებას შორის არსებულ ურთიერთკავშირს, თუმცა, ამავე დროს მიჯნავს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლება ამხვილებს ყურადღებას

დემოკრატიულ უფლებებზე, მოვალეობებზე, აქტიურ მონაწილეობაზე სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ხოლო ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება - ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრზე და ადამიანთა ფუნდამენტურ უფლებებზე (ევროპის საბჭო, 2010; გვ. 8). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა საკითხები თითქმის არ არის წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სხვა საგნებში (წარმოდგენილია ისტორიის საგნის სტანდარტში, თუმცა არსებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებითაც კი, მისი ხვედრითი წილი შემცირებულია). წარმოდგენილ საგნის სტანდარტში მნიშვნელოვანია, ყურადღება დაეთმოს როგორც დემოკრატიული მოქალაქეობის საკითხებს, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ და ფართო სპექტრის საკითხებს. შესაბამისად, რადგან გადანყდა ამ საგნის ამ ფორმით შემოტანა, უპრიანი იქნება, თუ თანმიმდევრულნი ვიქნებით ევროპის საბჭოს მიდგომებისადმი და ახალი საგანი იქნება არა მხოლოდ „მოქალაქეობა“, არამედ „მოქალაქეობა და ადამიანის უფლებები“ და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საკითხები ფართოდ აისახება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და შესამუშავებელ სახელმძღვანელოებში.

(ბ) ადამიანის უფლებათა სწავლება სასკოლო დონეზე

მიუხედავად იმისა, რომ სპორტისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს ადამიანის უფლებების სწავლების საკითხებს, მოსწავლეები სწორედ ამ საგნებს, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ერთად, ასახელებენ ყველაზე ხშირად ისეთ საგნებად, რომლებშიც ეს საკითხები გადმოცემული არ არის. ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო ენების საგანთა ჯგუფი ფაქტობრივად არ მოიცავს ადამიანის უფლებათა სწავლებას, თუმცა მოსწავლეთა 75%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ ისინი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს ამ საგნის სწავლისას ეცნობიან. ამ მონაცემების მიხედვით, ნათელია ერთი რამ: პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა სწავლების, დამოკიდებულებისა და ცოდნის გამომუშავების თვალსაზრისით, სახელმწიფო ენის საგანთა ჯგუფის დიდ მნიშვნელობაზე მიაჩნდება. მიუხედავად ამისა, მან ასახვა ვერ ჰპოვა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მაშინ როცა, პირიქით, სპორტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საგნის მასწავლებლები ადამიანის უფლებების საკითხებს სულაც არ მიიჩნევენ მნიშვნელოვან საკითხებად საკუთარი საგნის კომპეტენციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების სწავლება მათ ევალებათ. ანალოგიური ტენდენცია თავს იჩენს სკოლის ადმინისტრატორთა და მასწავლებელთა გამოკითხვაშიც.

სასკოლო დონეზე ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ კითხვარი მოიცავდა სპეციალურ ქვეთავს, სადაც სწორედ სწავლების თვალსაზრისით

იყო გაანალიზებული ადამიანის უფლებათა საკითხები. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობა ცდილობს მიუთითოს, რომ ის იყენებს ადამიანის უფლებათა სწავლებას საკუთარი საგნის სწავლებისას. ასევე საგულისხმოა, რომ მასწავლებელთა 37% აღნიშნავს, რომ მათ აქტივობებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, საფუძვლად უდევს მითითება ამგვარი აქტივობების ორგანიზების შესახებ სკოლის ადმინისტრაციის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრისგან. თუმცა მათგან, ვინც დადებით პასუხს სცემს ამ კითხვას, მხოლოდ 60% ახერხებს კონკრეტული აქტივობის დასახელებას. ანალოგიურად, საკუთარი ინიციატივით ადამიანის უფლებათა საკითხებზე აქტივობები განხორციელებული აქვს გამოკითხულ მასწავლებელთა 50,4%-ს. ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, თუმცა გაცილებით უფრო დაბალია შედეგები, როცა მასწავლებლებს კონკრეტული აქტივობების შესახებ ვეკითხებით. კონკრეტული აქტივობების ჩამოთვლისას მასწავლებლები კვლავ ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლებიან და ასახელებენ დისკუსიას, კლასის საათს, წერით დავალებას, თავისუფალ გაკვეთილს, გაკვეთილზე თემის განხილვას, საუბარს მოსწავლეებთან, საუბარს მოსწავლეებთან და მშობლებთან, ურთიერთგაგებას, სასწავლო პროგრამებს, გაკვეთილზე საუბარს და ა.შ. კითხვარში გვხვდება კონკრეტული საკითხები და აქტივობებიც, თუმცა მათი ხვედრითი წილი საკმაოდ მცირეა. რაც შეეხება სასკოლო დონეზე ჩატარებულ ღონისძიებებს, მასწავლებელთა 9% ასახელებს, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღონისძიებები სკოლაში ტარდება და კონკრეტული ჩამონათვალის გრაფაში მითითებული აქვთ ძალიან კონკრეტული და მრავალფეროვანი სასკოლო ღონისძიებები, რომლებიც ადამიანის უფლებების სწავლებას უკავშირდება.

შესაბამისად, ნათელია, რომ მასწავლებლებს, სწავლების პროცესში ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებულ მიდგომებზე საუბრისას, უჭირთ კონკრეტული საქმიანობის აღწერა, თუმცა დეტალურად აღწერენ სასკოლო ღონისძიებებს, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ საგაკვეთილო პროცესში ისინი ნაკლებად მიმართავენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სწავლებას. ამ მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ: (ა) მხოლოდ მასწავლებელთა მცირე ნაწილი მიმართავს ადამიანის უფლებათა სწავლებას სასწავლო პროცესში; (ბ) მასწავლებელთა ნაწილს გათვითცნობიერებული აქვს ადამიანის უფლებათა სწავლების მნიშვნელობა და სკოლაში ამ მხრივ არსებული ვითარების უფრო პოზიტიურ ჭრილში წარმოჩენას ცდილობს, ვიდრე რეალურად არის, რაზეც მეტყველებს განსხვავება პასუხებში ზოგად და კონკრეტულ დებულებებს შორის; (გ) სკოლის ადმინისტრაციის როლი მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ადამიანის უფლებათა სწავლების ასახვაზე და ამ როლის პოზიტიურად გამოყენების შესაძლებლობა იქმნება.


გამოკითხულ მოსწავლეთა 79.9% სწავლობს ადამიანის უფლებების საკითხებს სკოლაში, ხოლო 14.9% - არ სწავლობს (5.2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა). სხვადასხვა ჭრილის მიხედვით გამოვლინდა მცირე განსხვავებები, კერძოდ:

საჯარო სკოლის მოსწავლეების 82.4% ასახელებს, რომ სწავლობს ადამიანის უფლებების საკითხებს სკოლაში, ხოლო 12.5%-მა მიუთითა, რომ - არ სწავლობს. სხვა თანაფარდობაა კერძო სკოლების მოსწავლეებთან - 70.3% ადასტურებს ადამიანის უფლებების საკითხების სკოლაში სწავლას, 23.7% კი - უარყოფს. ადამიანის უფლებების საკითხების სკოლაში სწავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ყველაზე მცირეკონტინგენტიან სკოლაში (1-100 მოსწავლე) - 97.9%.

როგორც კვლევამ აჩვენა, მოსწავლეების აზრით, სხვადასხვა საგნიდან ადამიანის უფლებათა საკითხებს ყველაზე მეტად მოიცავს (მეტ-ნაკლებად და/ან სრულად) სახელმწიფო ენები (75.7%) და საზოგადოებრივი მეცნიერებები (90.6%), ხოლო ყველაზე ნაკლებად („არ მოიცავს“) - მათემატიკა (74.8%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (63.5%), ტექნოლოგიები და სპორტი (59.5%) (იხ. დიაგრამა №3.1).

დიაგრამა 3.1

მოიცავს თუ არა ადამიანის უფლებათა საკითხებს შემდეგი საგნები (%):



ეს მონაცემი, ისევე როგორც მასწავლებელთა მონაცემი, საინტერესოა ამ კუთხით. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სპორტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ასახულია ადამიანის უფლებათა საკითხები, ის ნაკლებად რეალიზებადია სპორტისა და ტექნოლოგიების სწავლების სასკოლო დონეზე. აგრეთვე საინტერესოა სახელმწიფო ენებთან დაკავშირებითაც, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენების სასწავლო გეგმები ნაკლებად მოიცავს ადამიანის უფლებების საკითხებს, სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი იმპლიციტური ინფორმაცია საშუალებას აძლევს და, უფრო მეტიც - ხელს უწყობს მასწავლებლებს, იმსჯელონ ადამიანის უფლებების საკითხებზე.


კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ადამიანის უფლებათა შესახებ, მოსწავლეების უმრავლესობას უსწავლია (თითოეული საკითხის მაჩვენებელი ვარიანტებს 63-88%-ის ფარგლებში):

- ▶ ადამიანის უნივერსალური უფლებები;
- ▶ უმცირესობათა უფლებები და დისკრიმინაციის საკითხები;
- ▶ ბავშვთა უფლებები;
- ▶ შრომითი და სოციალური უფლებები;
- ▶ კულტურული უფლებები.

თუმცა გამოკვეთილად მაღალი მაჩვენებელი ბავშვთა უფლებების შესწავლაზე მოდის (88.4%) (იხ. დიაგრამა №3.2).

დიაგრამა 3.2


ისწავლეთ თუ არა სკოლაში შემდეგი საკითხები ადამიანის უფლებათა შესახებ: (%)



ანალოგიური ტენდენციები იკვეთება სხვადასხვა ჭრილის მიხედვითაც (დასახლების ტიპი, სწავლების ენა, იურიდიული ფორმა (კერძო/საჯარო), სკოლის ზომა, მოსწავლის სქესი და კლასი).

საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა კლასგარეშე აქტივობების თვალსაზრისით, რაც არაჩვეულებრივი საშუალებაა ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის. სკოლების უმრავლესობაში იშვიათად ან არასდროს ტარდება ისეთი კლასგარეშე აქტივობები, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებებს (60.7%). ხშირად ტარდება სკოლების მხოლოდ 29.1%-ში (იხ.დიაგრამა №3.3). მსგავსი ტენდენცია იკვეთება სხვადასხვა ჭრილის მიხედვით. შესაბამისად, კლასგარეშე აქტივობების გამოყენება ადამიანის უფლებების სწავლებისთვის სერიოზული აუთვისებელი რესურსია, რომელიც სამომავლოდ მნიშვნელოვნად უნდა იქნეს გამოყენებული.

დიაგრამა 3.3



4. მასწავლებელთა კომპეტენცია და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა

სასწავლო პროცესში ადამიანის უფლებათა ეფექტიანი სწავლებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კვალიფიკაცია. ამ კუთხით, კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ მასწავლებელთა განათლება ადამიანის უფლებათა საკითხებზე უმაღლეს სასწავლებლებში, მათი ამჟამინდელი ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ და უფლებების დაცვის ინსტრუმენტების თაობაზე, ისევე როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

მასწავლებლების ცოდნა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინსტიტუციებისა და პროგრამების შესახებ, ძირითადად საშუალო ან საშუალოზე დაბალია. რესპონდენტები შედარებით უკეთესად იცნობენ საქართველოს სახალხო დამცველსა (66.2%) და გაეროს ბავშვთა ფონდს (58.4%),

ასევე გაეროს დეკლარაციას და პროგრამას ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ (51.9%)³⁹. ჩამოთვლილი ინსტიტუციებისა და პროგრამების შესახებ არაინფორმირებულობის მაჩვენებლები („არაფერი მსმენია“, „მსმენია, მაგრამ ბევრი არაფერი ვიცი“) შემდეგია:

- ▶ საქართველოს სახალხო დამცველი - 33.8%;
- ▶ საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემია - 69.4%;
- ▶ ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ მსოფლიო პროგრამა - 68.2%;
- ▶ გაეროს დეკლარაცია და პროგრამა ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ - 48.1%;
- ▶ გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში - 41.6%;
- ▶ გაეროს უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებათა საკითხებში - 63%.

საერთო ჯამში, არცერთ ინსტიტუციას/პროგრამას არ იცნობს 23.7%. კვლევის მონაცემების მიხედვით, ადამიანის უფლებათა ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტების მიმართ მასწავლებლები მეტ-ნაკლებად ინფორმირებულები არიან. ყველაზე მაღალი ინფორმირებულობის დონე რესპონდენტებმა გამოავლინეს შემდეგი საკითხების მიმართ:

- ▶ ბავშვთა უფლებების კონვენცია (81.3%);
- ▶ საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა თავი (69.5%);
- ▶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (67.9%);
- ▶ ქალთა წინააღმდეგ ყოველგვარი ძალადობის აღკვეთის შესახებ კონვენცია (62.1%).

ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულობა შეინიშნება შემდეგი საკითხების მიმართ:

- ▶ საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (არაფერი ვიცი - 12.3%; მსმენია და ბევრი არაფერი ვიცი - 54.4%);
- ▶ სოციალური საკითხების ევროპული ქარტია (არაფერი ვიცი - 14.5%; მსმენია და ბევრი არაფერი ვიცი - 51.5%);
- ▶ საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (არაფერი ვიცი - 14.2%; მსმენია და ბევრი არაფერი ვიცი - 49.9%).

³⁹ შეფასებები 3 და „4 - „მსმენია და კარგად ვიცი“ და „მსმენია და ძალზე კარგად ვიცი“.

საერთო ჯამში, არც ერთი ჩამოთვლილი ინსტრუმენტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს გამოკითხულთა 14.2%.


საინტერესოა, რომ მიუხედავად მასწავლებელთა ინფორმირებულობის დაბალი ხარისხისა ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებზე, მათი თვითშეფასება ამავე მიმართულებით მაინც საკმაოდ მაღალია. მასწავლებლებს უნდა შეეფასებინათ 2 დებულება: მათ მიერ ა) ადამიანის უფლებების გააზრება და ბ) ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების გააზრება. ორივე დებულებასთან მიმართებაში რესპონდენტების თვითშეფასება საკმაოდ მაღალია - საშუალო მაჩვენებელი მაღალი შეფასების ველში ექცევა (Mean = 3.9).

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელთა ინფორმირებულობის დონე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცალკეული ინსტიტუციებისა თუ პროგრამების შესახებ საშუალო ან საშუალოზე დაბალია. მასწავლებელთა მწირი ცოდნა და ინფორმირებულობის ხარისხი ორი მნიშვნელოვანი წყაროდან მომდინარეობს: (1) უმაღლეს სასწავლებლებში ადამიანის უფლებათა საკითხებზე ნაკლები აქცენტირებით მასწავლებელთა განათლების პროგრამებში; (ბ) სასკოლო თუ ცენტრალურ დონეზე ამ მიმართულებით პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობით.

უმაღლესი/ტექნიკური ან საშუალო-ტექნიკური განათლების საფეხურზე მასწავლებლების მხოლოდ დაახლოებით 34 – 46% სწავლობდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კვემოთ ჩამოთვლილ საგნებს (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 46.4% აქვს „ტოლერანტობას“). საერთო ჯამში, ჩამოთვლილთაგან 1-3 საგანს სწავლობდა მასწავლებლების ნახევარზე მეტი - 52.4% (იხ. დიაგრამა №4.1).

დიაგრამა 4.1

უმაღლესი/ტექნიკური ან საშუალო-ტექნიკური განათლების საფეხურზე
ვსწავლობდი შემდეგ საგნებს: (%)



რაც შეეხება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას სხვადასხვა საგნის ფარგლებში, კვლევის თანახმად, ყველაზე მეტი სიხშირით (პასუხის ვარიანტი „დიახ“) დასახელდა შემდეგი საკითხები (თითოეული მასწავლებლების დაახლოებით ნახევარმა დაასახელა): ტოლერანტობა (51.1%), ადამიანის უფლებები (შემთხვევათა 50.8%), ბავშვთა უფლებები (50.3%), თანასწორობა და სამართლიანობა განათლებაში (47.3%); ყველაზე ნაკლები სიხშირით (პასუხის ვარიანტი „დიახ“) კი - მულტიკულტურალიზმი (35.1%) და ინკლუზია (36.7%) (იხ. დიაგრამა №4.3). საერთო ჯამში, არცერთი საკითხი არ შეუსწავლია მასწავლებლების დაახლოებით მესამედს (33.4%), ხოლო მეხუთედმა (20.4%) 4-6 საკითხი შეისწავლა (იხ. დიაგრამა №4.4).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე ადამიანის უფლებების შესახებ, ან ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, გამოკითხული მასწავლებლების თითქმის ნახევარს არ აქვს მონაწილეობა მიღებული (48.4%). ხოლო მათგან, ვინც მიიღო მონაწილეობა, წამყვან თემად დასახელდა „ტოლერანტობა“ (41.1%). კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო პროვაიდერებისა და სასკოლო დონეზე პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. მასწავლებლის სახლის ორგანიზებულ, სხვადასხვა თემასთან დაკავშირებულ ტრენინგებზე რესპონდენტებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები (პასუხის ვარიანტი „დიახ“) - ინკლუზია (43.6%) და ტოლერანტობა (33.7%). დანარჩენ, ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს ერთმანეთთან დაახლოებული მაჩვენებლები აქვთ (ვარიანტს დაახლ. 20-28%-ის ფარგლებში). საერთო ჯამში, არცერთი საკითხი არ შეუსწავლია გამოკითხული მასწავლებლების 47.6%-ს.

კერძო პროვაიდერების (არასამთავრობო ორგანიზაციები, კომერციული ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვ.) ორგანიზებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე კიდევ უფრო ნაკლებ მასწავლებელს აქვს მონაწილეობა მიღებული - 34.2% („არც ერთი“ - 65.8%). ტრენინგების თემებს შორის, ამ შემთხვევაშიც, შედარებით იკვეთება ტოლერანტობა (25%) და ინკლუზიური განათლება (22.3%), ასევე, ადამიანის უფლებები (20.9%) (იხ. დიაგრამა №4.9; №4.10). მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა სწავლების ენის მიხედვით ჭრილში. რაც შეეხება კერძო პროვაიდერების (არასამთავრობო ორგანიზაციები, კომერციული ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა) ორგანიზებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე შესწავლილ კონკრეტულ საკითხებს, არცერთი საკითხი არ შეუსწავლია 65.8%-ს (1-3 საკითხი შეისწავლა 13.9%-მა). ხოლო იმ რესპონდენტებთან, ვინც 1 საკითხი მაინც შეისწავლა, შედარებით იკვეთება: ტოლერანტობა (24.6%), ბავშვთა უფლებები (24%), ადამიანის უფლებები (22.3%), ინკლუზია (22.9%).

საინტერესო ტენდენცია გამოავლინა კვლევამ სასკოლო დონეზე პროფესიული განვითარების მიმართულებით. რესპონდენტების ნახევარზე მეტი (53.2%),

ვერ ასახელებს, ითვალისწინებს თუ არა ადამიანის უფლებების სწავლების მიმართულებით პროფესიულ განვითარებას სასკოლო დონეზე პროფესიული განვითარების მიდგომები. დადებითად კი ამ შეკითხვას დაახლოებით მესამედი (33.1%) პასუხობს. აღნიშნული მონაცემი ნათლად მიუთითებს, რომ, ზოგადად, სასკოლო დონეზე, პროფესიული განვითარების სისტემები არ მუშაობს საქართველოს საჯარო სკოლებში და, შესაბამისად, არც ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით პროფესიული განვითარების შესაძლებლობები გააჩნიათ სასკოლო დონეზე მოქმედ მასწავლებლებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელთა ცოდნა და კომპეტენციები დაბალია ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით, რაც გამოწვეულია როგორც უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა განათლების პროგრამებში ადამიანის უფლებათა სწავლების ინტეგრირების დაბალი დონით, აგრეთვე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობებით როგორც ცენტრალურ, აგრეთვე სასკოლო დონეზე. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია ამ მიმართულებით შესაბამისი სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა სიტუაციის გამოსასწორებლად, რადგან დღევანდელ სწრაფად განვითარებად მსოფლიოში იცვლება განათლების როლი და მეთოდები. განათლება ადამიანის უფლებების შესახებ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კონფლიქტების მოგვარების გზები, მრავალფეროვნების პატივისცემა, კულტურათა შორის ურთიერთობა და საკუთარი უფლებების და მოვალეობების გაცნობიერება. ეს ყველაფერი ქმნის იმის წინაპირობას, რომ ხვალინდელ მსოფლიოში დიალოგი უფრო მეტი იქნება, ვიდრე კონფლიქტები.⁴⁰

შესაბამისად, მასწავლებელთა მიმართაც იცვლება მოთხოვნები. იმისათვის, რათა ეფექტიანი დახმარება გაუწიონ ახალგაზრდა ადამიანებს მათ ირგვლივ მიმდინარე მოვლენების გაცნობიერებასა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, მათ მრავალმხრივი კომპეტენციები ესაჭიროებათ. ევროსაბჭოს მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის⁴¹ მიხედვით, თანამედროვე მასწავლებელს ოთხი მიმართულებით ესაჭიროება კომპეტენცია: ა. განათლება ადამიანის უფლებების შესახებ; ბ. დაგეგმვა, საკლასო მენეჯმენტი, სწავლება და შეფასება; გ. პარტნიორობის და საზოგადოების ჩართვა; და დ. ჩართულობის მიღწევა და შეფასება. იმისათვის, რათა შექმნას ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, კრიტიკულად იმსჯელონ სხვადასხვა

⁴⁰ Peter Brett, Pascale Mompoin-Gaillard and Maria Helena Salema, How all teachers can support citizenship and human rights education: a framework for the development of competences, Strasbourg, Council of Europe Publishing, 2009, გვ 75, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://dswy.eu/pdfs/How_all_Teachers_HRE_EN.pdf> ნანახია 15.03.2018.

⁴¹ „How all teachers can support citizenship and human rights education: a framework for the development of competences“, CoE, გვ. 17, 2009, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://goo.gl/KFouz3>> ნანახია 15.03.2018.

პოლიტიკურ, ეთიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე და ამ მსჯელობისას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს დაეყრდნონ, მასწავლებელი უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას და უნარებს. იმ შემთხვევაში, თუ განვითარდება მასწავლებლის ეს ოთხი კომპეტენციადა თუ მოხერხდება მათი ინკორპორირება სასწავლო პროგრამებში, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ეფექტიანი იქნება. შესაბამისად, დღევანდელი ვითარების შეცვლა მასწავლებელთა ცოდნისა და კომპეტენციების თვალსაზრისით, გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია.

5. მოსწავლეთა სოდნა, დამოკიდებულებები და უნარები/ ინფორმაციის წყაროები


კვლევისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო, გაგვერკვია მოსწავლეთა მოსაზრებები ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ როგორც საგნის, ასევე სადამრიგებლო საათისა თუ კლასგარეშე აქტივობების ფორმით მათ სკოლაში, აგრეთვე, ადამიანის უფლებების საკითხებზე მათი განათლებისა და ინფორმაციის წყაროები და სკოლაში ამ კუთხით არსებული ვითარება.

კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა უმრავლესობა, კერძოდ, 79.9% სწავლობს ადამიანის უფლებების საკითხებს სკოლაში, 14.9% კი - არ სწავლობს (5.2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა). როგორც კვლევამ აჩვენა, მოსწავლეების აზრით, სხვადასხვა საგნიდან ადამიანის უფლებათა საკითხებს ყველაზე მეტად მოიცავს (მეტ-ნაკლებად და/ან სრულად) სახელმწიფო ენები (75.7%) და საზოგადოებრივი მეცნიერებები (90.6%), ხოლო ყველაზე ნაკლებად („არ მოიცავს“) - მათემატიკა (74.8%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (63.5%), საინფორმაციო ტექნოლოგიები და სპორტი (59.5%).

კვლევის ფარგლებში დავინტერესდით არამხოლოდ იმით, თუ რომელ საგნებში სწავლობდნენ მოსწავლეები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ იმითაც, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხებიდან რომელს შეისწავლიდნენ ყველაზე მეტად საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. კვლევის მონაცემების თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ადამიანის უფლებათა შესახებ, მოსწავლეების უმრავლესობას უსწავლია (თითოეული საკითხის მაჩვენებელი ვარიანტებს 63-88%-ის ფარგლებში): (ა) ადამიანის უნივერსალური უფლებები; (ბ) უმცირესობათა უფლებები და დისკრიმინაციის საკითხები; (გ) ბავშვთა უფლებები; (დ) შრომითი და სოციალური უფლებები; (ე) კულტურული უფლებები. თუმცა გამოკვეთილად მაღალი მაჩვენებელი ბავშვთა უფლებების შესწავლაზე მოდის (88.4%) (იხ. დიაგრამა №5.1).

დიაგრამა 5.1

ისწავლეთ თუ არა სკოლაში შემდეგი საკითხები ადამიანის უფლებათა შესახებ: (%)




საინტერესოა, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ ცოდნა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული, მათ შორის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში ამ საკითხის მნიშვნელოვანწილად წინ წამოწევი, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტიურობით ბავშვთა უფლებების სწავლების მიმართულებით. შესაბამისად, ამ ორივე კომპონენტის ამუშავება ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც. ეს მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებს, რომელთა მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა სწავლებას სკოლებში ხელს უშლის ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან სკოლების თანამშრომლობის ნაკლები შესაძლებლობები (მასწავლებელთა 27% სწორედ ამ საკითხს მიუთითებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერად). შესაბამისად, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სკოლებისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლობის ნახალისება და გააქტიურება.

კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს კერძო და საჯარო სკოლებში მოსწავლეებს შედარებით ხშირად აცნობენ ქალების და გოგონების (35.5%) და შშმ პირების (34.9%) წარმატებას და წვლილს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში. ყველაზე ნაკლებად კი სკოლებში ეცნობიან არადომინანტი რელიგიური ჯგუფების წარმატებას და წვლილს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში (პასუხის ვარიანტს, „არასდროს“, შედარებით მაღალი ხვედრითი წილი უკავია არადომინანტი რელიგიური ჯგუფების შემთხვევაში - 28.6%) (იხ. დიაგრამა №5.2.).

დიაგრამა 5.2

თქვენს სკოლაში რამდენად ხშირად აცნობენ შემდეგი ჯგუფების შესახებ წარმატებებს და წვლილს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში, როგორც სასწავლო, აგრეთვე კლასგარეშე აქტივობების სახით (%)



მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებების შესახებ განათლების საკითხები, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში ინკორპორირებული იყოს სხვადასხვა საგნის სწავლებისას. კლასში იმგვარი გარემო უნდა იყოს შექმნილი, სადაც მოსწავლეები ღიად გამოთქვამენ მოსაზრებებს, ენდობიან და პატივს სცემენ ერთმანეთს და თავისუფლად განიხილავენ სენსიტიურ, სადისკუსიო თუ ტაბუდადებულ საკითხებს, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ კრიტიკულად იმსჯელონ სხვადასხვა პოლიტიკურ, ეთიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე და ამ მსჯელობისას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს დაეყრდნონ. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დავინტერესდით ამ კუთხით არსებული მდგომარეობითაც. მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ, რამდენად ხშირად განიხილავენ (ან საერთოდ განიხილავენ თუ არა) შემდეგ საკითხებს გაკვეთილებზე, სადამრიგებლო საათსა და კლასგარეშე აქტივობებში: (1) სოციალური სამართლიანობა; (2) სამართლიანობა; (3) ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება; (4) მდგრადი განვითარება; (5) სიღარიბე; (6) თანასწორობა; (7) თანაბარი შესაძლებლობები; (8) მშვიდობა; (9) გენდერის საკითხები.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ, როგორც გაკვეთილებზე, ისე სადამრიგებლო საათსა და კლასგარეშე აქტივობების მიმდინარეობისას, უმეტესწილად ერთი და იგივე საკითხები განიხილება (ე.ი. აღნიშნულ საკითხებს შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს): სამართლიანობა (დაახლ. 45-65%), თანასწორობა (დაახლ. 49 - 67%) თანაბარი შესაძლებლობები (დაახლ. 49-60%), მშვიდობა (დაახლ 43 - 57%). საკითხები კი, რომლებზეც მოსწავლეები ყველაზე ხშირად უთითებდნენ, რომ არასოდეს განიხილათ გაკვეთილებზე, სადამრიგებლო

საათსა და კლასგარეშე აქტივობებზე, შემდეგია: ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება (დაახლ. 14-34%), მდგრადი განვითარება (დაახლ. 19-33%), სიღარიბე (19 - 28%), გენდერის საკითხები (დაახლ. 22-29%).

დღევანდელ სწრაფად განვითარებად მსოფლიოში განათლების როლი და მეთოდები იცვლება. განათლება ადამიანის უფლებების შესახებ ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა კონფლიქტების მოგვარების გზები, მრავალფეროვნების პატივისცემა, კულტურათა შორის ურთიერთობა და საკუთარი უფლებების და მოვალეობების გაცნობიერება. ეს ყველაფერი ქმნის იმის წინაპირობას, რომ ხვალინდელ მსოფლიოში ნაკლები კონფლიქტები იქნება და უფრო მეტი - დიალოგი.⁴² შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დავინტერესდით მოსწავლეთა დამოკიდებულებით ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თანასწორობის საკითხების მიმართ. მოსწავლეებს თანხმობის სკალაზე უნდა შეეფასებინათ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა დებულება. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მაღალი (მაქსიმალური) შეფასება მიიღო (ე.ი. ყველაზე მეტად ეთანხმებიან) თანასწორობის გამომხატველმა და ჩაგვრისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო მოსაზრებებმა (Mean=4.0), ხოლო ყველაზე დაბალი შეფასებები - გენდერული სტერეოტიპების გამომხატველმა დებულებებმა (Mean = 1.72; 1.99) (ე.ი. ნაკლებად ეთანხმებიან) (იხ. ცხრილი №5.1.).

ცხრილი 5.1.

B.10. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ დებულებებს?	Mean	Median	Mode
ყველა თანასწორია, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, სოციალური სტატუსის თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად	3.45	4.00	4
მჯერა, რომ შემიძლია რაღაცის შეცვლა ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის კუთხით	2.95	3.00	3
კარგად ვიცნობ საქართველოს კანონმდებლობას ადამიანის უფლებების შესახებ და მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან	2.56	3.00	3
კარგად ვიცნობ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო დოკუმენტებს	2.50	2.00	2
შემიძლია შევაფასო საინფორმაციო წყაროები, მედია და სასწავლო რესურსები ადამიანის უფლებათა კუთხით	2.92	3.00	3

⁴² იქვე გვ. 75.

ჩაგვრა და ვინმეს შეურაცხყოფა მიუღებელია	3.35	4.00	4
მოსწავლეთა ურთიერთდაცინვა და დამცირება მიუღებელია	3.34	4.00	4
ქალს და მამაკაცს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ	3.39	4.00	4
ქალის და მამაკაცის შრომა თანაბრად ანაზღაურებადი უნდა იყოს	3.25	4.00	4
მამაკაცი უფრო კარგი პოლიტიკური ლიდერია	1.99	2.00	1
ქალის მთავარი ფუნქცია დიასახლისობა და ბავშვების გაზრდაა	1.72	1.00	1
ყველა ეთნიკურ ჯგუფს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობა უნდა მიეცეს საქართველოში	3.29	4.00	4
ყველა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი სამუშაო ადგილებზე	3.27	4.00	4
სკოლებმა მოსწავლეებს უნდა ასწავლონ განსხვავებული რელიგიური, ეთნიკური, ჯანმრთელობის, სოციალური მდგომარეობისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა პატივისცემა	3.22	4.00	4

შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები დათვლილია 4-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმების“, ხოლო ციფრი 4 – „სრულიად ვეთანხმების“. სკალის ნეიტრალური პუნქტია - 2.5. ციფრ 2.5-ზე ზევით შეესაბამება „მაღალი შეფასების ველს“, ხოლო ციფრ 2.5-ზე ქვემოთ - „დაბალი შეფასების ველს“.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში მოსწავლეების დამოკიდებულებები საზოგადოებაში მიღებულ და გაცხადებულ დებულებებზე საკმაოდ პოზიტიურია, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დებულებას შორის კროსტაბულაციით გაანალიზებისას, კვლევამ რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოკვეთა, კერძოდ:

- ▶ კვლევაში მონაწილე 45 მოსწავლე მიიჩნევს, რომ ქალის და მამაკაცის შრომა განსხვავებულად უნდა ანაზღაურდებოდეს და ასევე სრულიად უარყოფს ქალის და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას.
- ▶ კვლევაში მონაწილე 58 მოსწავლე, მიუხედავად იმისა, რომ ქალის და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას აღიარებს, მაინც აღნიშნავს, რომ ქალის მთავარი ფუნქცია დიასახლისობა და ბავშვების გაზრდაა;
- ▶ კვლევაში მონაწილე 49 მოსწავლე მიიჩნევს, რომ საქართველოში ყველა ეთნიკურ ჯგუფს არ უნდა მიეცეს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობა და არც სამუშაო ადგილებზე უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყველა

რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფს;


- ▶ კვლევაში მონაწილე 25 მოსწავლე, თუმცა კი ეთანხმება, რომ სამუშაო ადგილებზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფს, ამავე დროს მიიჩნევს, რომ სკოლებმა არ უნდა ასწავლონ მოსწავლეებს განსხვავებული რელიგიური, ეთნიკური, ჯანმრთელობის, სოციალური მდგომარეობისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა პატივისცემა;
- ▶ კვლევაში მონაწილე 46 მოსწავლის აზრით კი, არც სამუშაო ადგილებზე უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყველა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფს და არც სკოლებმა უნდა ასწავლონ მოსწავლეებს განსხვავებული რელიგიური, ეთნიკური, ჯანმრთელობის, სოციალური მდგომარეობისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა პატივისცემა.

წდომა რესურსებზე, ადამიანის უფლებები და სამოქალაქო აქტივიზმი

კვლევის მონაცემების მიხედვით, სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობას (98.1%) აქვს ბიბლიოთეკა. მოსწავლეების უმეტესობა ასევე აღნიშნავს, რომ მათი სკოლების ბიბლიოთეკებში ხელმისაწვდომია წიგნები ადამიანის უფლებების შესახებ როგორც ადმინისტრაციისთვის, ასევე მასწავლებელთათვის და მოსწავლეებისათვის. განსხვავებები არ გამოვლენილა სხვადასხვა ქრისტიანული მიხედვით (დასახლების ტიპი, სწავლების ენა, იურიდიული ფორმა (კერძო/საჯარო), სკოლის ზომა, მოსწავლის სქესი და კლასი). გამოკითხულ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს ბიბლიოთეკა (მხოლოდ 4 რესპონდენტმა არ უპასუხა შეკითხვას). სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები ადამიანის უფლებების შესახებ კი ხელმისაწვდომია ადმინისტრაციის მასწავლებლების და მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობისათვის (დაახლ. 80 – 81%). ამას გარდა, როგორც მონაცემები გვიჩვენებს, მასწავლებლების უმრავლესობისთვის - 72.8%, ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდოლოგიური ლიტერატურაც, თუმცა ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია სხვა მაჩვენებლებზე. ანალოგიური ვითარებაა სკოლის ადმინისტრაციის შემთხვევაშიც, ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდოლოგიური ლიტერატურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ადმინისტრაციის უმრავლესობაც აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა და რესურსები ადამიანის უფლებების შესახებ ხელმისაწვდომია სკოლაში როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის, გამოკითხულთა 23.4% მიუთითებს, რომ სასკოლო დონეზე არ აქვს წდომა ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდოლოგიურ ლიტერატურაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლების ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდოლოგიური რესურსით უზრუნველყოფა.


კიდევ ერთი საკითხი, რომელიც კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, საქართველოს კერძო და საჯარო სკოლებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობას ეხებოდა. ამ საკითხზე მონაცემების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ სკოლების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში არ არსებობს სამოქალაქო აქტივიზმისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის პრაქტიკული ქმედების ინსტრუმენტები (29%) (იხ. დიაგრამა №5.2). ყველაზე ნაკლებად არის წარმოდგენილი სკოლებში გაზეთის (28.7%) და ონლაინ რესურსების (25.9%) გამოცემები ადამიანის უფლებებზე, ასევე - ტოლერანტობის კლუბი (24.9%). „არ არის ხელმისაწვდომი“ - ტოლერანტობის კლუბი (36%), ბავშვთა უფლებების კლუბი (34%), გაზეთის და ონლაინ რესურსების გამოცემები (დაახლ 31-36%), სამოქალაქო ინიციატივების კლუბი (32.2%). ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია (ხელმისაწვდომია) - სპორტული კლუბი (64.3%), გარემოს დაცვის კლუბი (48.3%), მოხალისეთა კლუბი (44.7%), საქველმოქმედო კლუბი (42.1%) (იხ. დიაგრამა №5.3). მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა სხვადასხვა ქრილის მიხედვით (დასახლების ტიპი, სწავლების ენა, იურიდიული ფორმა (კერძო/საჯარო), სკოლის ზომა, მოსწავლის სქესი და კლასი).

დიაგრამა 5.2



დიაგრამა 5.3

არის თუ არა თქვენი სკოლის მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი შემდეგი საქმიანობა სკოლის ფარგლებში: (%)



საინტერესოა ამავე საკითხებზე - აქვთ თუ არა სკოლაში ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა - მოსწავლეთა პასუხების სტატისტიკის განხილვა. მასწავლებლების პასუხები, მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ერთსა და იმავე სკოლებში ჩატარდა, განსხვავდება მოსწავლეების პასუხებისგან (იხ. დიაგრამა №5.4). მასწავლებლებმა მიუთითეს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები მათი სკოლის მოსწავლეებისთვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომია.


- ▶ შედარებით უფრო ხელმისაწვდომად დასახელდა „სპორტული კლუბი“ (64.9%) და „დებატების კლუბი“ (57%). (დანარჩენი აქტივობების ხვედრითი წილი ვარირებს დაახლოებით 21 – 49%-ის ფარგლებში);
- ▶ ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომად დასახელდა „ტოლერანტო-

ბის კლუბი“ („ხელმისაწვდომია - 29%; „არ არის ხელმისაწვდომი“ – 22.6%), „ბავშვთა უფლებების კლუბი“ („ხელმისაწვდომია - 26.7%; „არ არის ხელმისაწვდომი“ – 24.6%);

- ▶ „სკოლაში არ არსებობს მსგავსი რესურსი“ - შედარებით ხშირად მიუთითებენ „ტოლერანტობის კლუბის“ და „ბავშვთა უფლებების კლუბის“ მისამართით (დაახლ. 10-11%);
- ▶ საკმაოდ მაღალია იმ რესპონდენტთა სვედრითი წილი, ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა (მაჩვენებლები ვარიირებს დაახლ. 10-37%-ის ფარგლებში).

დიაგრამა 5.4

არის თუ არა თქვენი სკოლის მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი შემდეგი საქმიანობა სკოლის ფარგლებში: (%)



მოსწავლეთა და მასწავლებელთა პასუხებს შორის არსებული დისბალანსი ნათლად მიუთითებს კვლევაში წარმოჩენილ ტენდენციებზე - მასწავლებლების მაღალ თვითშეფასებაზე საკუთარი თავისა და საკუთარი სკოლის მიმართ, ამასთანავე, მათ მცდელობაზე, პოზიტიურად წარმოაჩინონ არსებული ვითარება, ნაცვლად პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათზე შესაბამისი რეაგირებისა.

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების გამოკითხვა, რომლებიც ცდილობენ ამ მიმართულებით კიდევ უფრო პოზიტიური სურათი დახატონ და, ამგვარად, კიდევ უფრო შორდებიან მოსწავლეთა შეფასებებს პრაქტიკული აქტივობების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების გამოკითხვის მიხედვით, სხვადასხვა აქტივობიდან, მოსწავლეებისათვის ძირითადად უზრუნველყოფილია სპორტული კლუბი (80%). შედარებით გამოიკვეთა დებატების კლუბი (69.5%), საქველმოქმედო კლუბი (64%), სამოქალაქო ინიციატივის და გარემოს დაცვის კლუბები (64%), გაზეთის გამოცემა ადამიანის უფლებებზე (62.1%).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სკოლები ნაკლებად სთავაზობს მოსწავლეებს ადამიანის უფლებების სწავლებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავების შესაძლებლობას და ამას ადასტურებს მოსწავლეთა გამოკითხვა და მისი შედეგები. თუმცა სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია, ამ მიმართულებით სკოლების უფრო მეტად გააქტიურების ნაცვლად, ცდილობენ არსებული რეალური ვითარება განსხვავებულად წარმოაჩინონ. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია სასკოლო დონეზე სამოქალაქო აქტივიზმისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ პრაქტიკული საქმიანობების წახალისების უზრუნველყოფა.


ამავე კონტექსტში საინტერესოა მოსწავლეთა აქტიურობა სკოლაში მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. კვლევის მონაცემების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში შეამჩნია ან გაიგო, რომ სხვა მოსწავლეს ჩაგრავენ და დასცინოდნენ, განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- ▶ თავად დაეხმარა მოსწავლეს, რომელიც ჩაგვრისა და დაცინვის მსხვერპლი იყო (შემთხვევათა 37%);
- ▶ შემთხვევათა 16.6%-ში დასახელდა მასწავლებლის ინფორმირება;
- ▶ შემთხვევათა 11.1% -ში - სკოლის დირექტორის/დირექტორის მოადგილის ან ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომლის ინფორმირება;
- ▶ შემთხვევათა 12.4%-ში მოსწავლეებს არაფერი გაუკეთებიათ.

არცთუ მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ ამგვარ ფაქტს არ შესწრებია (შემთხვევათა 21.1%). (იხ. დიაგრამა №5.5)

დიაგრამა 5.5

დაფიქრდით, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, როცა შეამჩნიეთ ან გაიგეთ, რომ ბავშვის მიმართ ხორციელდებოდა ჩაგვრა და დაცინვა, რა გააკეთეთ? (N=1034) (%)




იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომელთაც აღნიშნეს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სხვა მოსწავლის მიმართ განხორციელებული ჩაგვრისა და დაცინვის შემთხვევაში თავად არაფერი გაუკეთებია, **661-ია**, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კვლევაში მონაწილეთა კიდეც **21%-მა** საერთოდ უარყო ასეთი ფაქტების არსებობა. საინტერესოა, რა იყო უმოქმედობის მიზეზი. უმოქმედობის მიზეზის დადგენა დამატებითი რეაგირების მექანიზმების დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა. უმოქმედობის 3 ძირითადი მიზეზი დასახელდა:

- ▶ მოსწავლეებს არ სურდათ ძალადობაში ჩართვა (შემთხვევათა 27.1%);
- ▶ მოსწავლეებმა არ იცოდნენ რა ეთქვათ, ან გაეკეთებინათ (შემთხვევათა 19.7%);

- მოსწავლეებმა იფიქრეს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა ადამიანებს გააგებინებდნენ, ისინი მაინც არაფერს გააკეთებდნენ (შემთხვევათა 11.6%)

საგულისხმოა, რომ მაღალია იმ მოსწავლეების ხვედრითი წილი, ვისაც გაუჭირდა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა №5.6).

დიაგრამა 5.6



სიტუაცია იცვლება, როდესაც კითხვა ეხება თავად რესპონდენტის მიმართ განხორციელებულ ჩაგვრას ან დაცინვას ბოლო ერთი წლის განმავლობაში და მასზე მის რეაგირებას. ნახევარზე მეტ შემთხვევაში (54.5%) რესპონდენტები

უარყოფენ, რომ ოდესმე ყოფილან ჩაგვრის/დაცინვის მსხვერპლი. თუმცა, „ალიარების“ მაჩვენებელი 44.3%-ია. ჩაგვრასა და დაცინვაზე რესპონდენტების რეაგირების ფორმებიდან შედარებით ხშირია: გამოკითხვის მონაწილეთა უმოქმედობა მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობის აღნიშნული ფორმებისადმი - „ყურადღება არ მივაქციე/არაფერი მოვიმოქმდე (92 შემთხვევა - 8.8%). 54 შემთხვევაში აღინიშნა მასწავლებლის, 49 შემთხვევაში - მშობლის და მანდატურის ინფორმირება (იხ. ცხრილი №5.7).

ცხრილი 5.7

გაიხსენეთ ჩაგვრის ან დაცინვის ბოლო შემთხვევა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში თქვენი მისამართით. რა გააკეთეთ?		
	რაოდენობა	%
არასოდეს ყოფილვარ ჩაგვრის/დაცინვის მსხვერპლი	571	54.5
ყურადღება არ მივაქციე/არაფერი მოვიმოქმდე	92	8.8
ვუთხარი მშობელს, მანდატურს	49	4.7
ვუთხარი მასწავლებელს	54	5.2
ვუთხარი სკოლის დირექტორს ან ადმინისტრაციის თანამშრომელს	37	3.5
სკოლაში ჩემზე ასაკით უფროსს ვუთხარი	22	2.1
სკოლის გარეთ უფროს ადამიანს ვუთხარი	17	1.6
დავრეკე პოლიციაში	15	1.4
ჩხუბში ჩავერთე	57	5.4
სხვა პირი დამეხმარა	36	3.4
ვიხუმრე ამ ფაქტის შესახებ	32	3.1
სხვა	53	5.1
მიჭირს პასუხის გაცემა	128	12.2

იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც მიუთითეს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მათ მიმართ განხორციელებული ჩაგვრის ან დაცინვის შემთხვევაში არაფერი მოუმოქმედებიათ, ასევე დაასახელეს უმოქმედობის მიზეზები. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს იმ რესპონდენტებს, ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა (შემთხვევათა 42.1% - 262 შემთხვევა). თანაბარი ხვედრითი წილი აქვს ორ ფაქტორს (ორივე 63-63 შემთხვევა): ა) რესპონდენტებმა არ იცოდნენ, ვისთვის მიემართათ, ან რა გაეკეთებინათ; ბ) რესპონდენტებისთვის, ვინმეს ინფორმირება ჩაგვრის/დაცინვის შესახებ, ამბის მიტანასთან ასოცირდება - რაც მათთვის მიუღებელია (იხ. ცხრილი №5.8).

ცხრილი 5.8

თუ არაფერი გაგიკეთებიათ/ყურადღება არ მიგიქცევიათ ბოლოს, როდესაც ჩაგვრის ან დაცინვის მსხვერპლი გახდით, რა იყო ამის მიზეზი?		
	რაოდენობა	%
შემეშინდა	41	6.6
არ ვიცოდი რა გამეკეთებინა ან ვისთვის მიმემართა	63	10.1
ვიფიქრე, რომ თუ ვინმეს ვეტყოდი, მაინც არაფერი შეიცვლებოდა	49	7.9
არ მიყვარს ლაპარაკი	55	8.8
არ ვფიქრობ რომ ჩაგვრა და/ან დაცინვა ძალიან მძიმე იყო	51	8.2
არ ვფიქრობ რომ რამეს შევცვლიდი	39	6.3
ვიფიქრე, რომ უფრო მეტად გავხდებოდი მსხვერპლი თუ ამის წინააღმდეგ წავიდოდი	35	5.6
ჩემთვის ამბის მიტანა მიუღებელია	63	10.1
სხვა	49	7.9
მიჭირს პასუხის გაცემა	262	42.1

საინტერესო აღმოჩნდა უმოქმედობის გამომწვევი მიზეზების სქესთაშორის ჭრილში ანალიზი. ამ კუთხით, გოგონებისა და ვაჟების პასუხებში მკვეთრი განსხვავება, დებულებების მიხედვით, არ გამოვლენილა, გარდა ერთისა. „ჩემთვის ამბის მიტანა მიუღებელია“ მიუთითა ბიჭების 13,5%-მა და გოგონების 5,2%-მა. ბიჭების პასუხებში ამ მიზეზს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აღმოაჩნდა, ამასთანავე, ეს მაჩვენებელი 2,5%-ით აღემატება გოგონების პასუხებს. შესაბამისად, ეს მონაცემი გარკვეული ანალიზისა და შემდგომი რეაგირების შესაძლებლობას იძლევა და ბიჭების დამოკიდებულებების ფორმირებაზე სკოლის პოზიტიური გავლენის გაზრდის აუცილებლობაზე მიუთითებს.

მიღებული შედეგები იძლევა გარკვეულ ინფორმაციას: (1) ადამიანის უფლებების, ისევე, როგორც საკუთარი უფლებების, შელახვისას მოსწავლეთა ნაწილი ინერტულია; (2) უმოქმედობის გამომწვევი მიზეზი ხშირად რეაგირების სტრატეგიების უცოდინრობასთან არის დაკავშირებული; (3) რეაგირება ადამიანის უფლებების დარღვევაზე ასოცირდება „ამბის მიტანასთან“, რაც მოსწავლეთა ნაწილისთვის მიუღებელია, განსაკუთრებით ბიჭი მოსწავლეების შემთხვევაში.

6. სასკოლო კლიმატი და გარემო


ადამიანის უფლებები ფორმალურ პროცედურებში

ადამიანის უფლებების საკითხების ასახვას ფორმალურ პროცედურებში ადასტურებს როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა. კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, ისევე როგორც მასწავლებლები და მოსწავლეები, მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებები სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტებში (სკოლის სასწავლო გეგმა, სკოლის დებულება, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა და ა.შ.) მაქსიმალურად არის წარმოდგენილი. ასევე მაქსიმალურადაა გამოხატული ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა - სკოლის მმართველობაში, წესებსა და პროცედურებში, სწავლებაში არაფორმალურ ურთიერთობებში, საკლასო ოთახებისა თუ დერეფნების გაფორმებასა და ვიზუალიზაციაში. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (დირექტორი, მოადგილე, მენეჯერი) ასევე მიუთითებენ, რომ მათ სკოლაში არსებობს/სრულყოფილად არსებობს დაწერილი ან პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები და პროცედურები შემდეგი საკითხების დასარეგულირებლად: დისკრიმინაცია რელიგიურ, ეთნიკურ, სქესობრივ/გენდერულ, შშმ ნიადაგზე და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან ან/და მდგომარეობასთან დაკავშირებით (მაჩვენებლები ვარირებს დაახლ. 73-79%-ის ფარგლებში).

მიუხედავად ამ მართლაც პოზიტიური შედეგისა, კვლევის ფარგლებში დასმული სხვა კითხვები უფრო მეტად ჩაღრმავებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა, კერძოდ, კვლევის ფარგლებში დასმულ უფრო კონკრეტულ შეკითხვაზე, სკოლაში უფლებების დარღვევის/ჩაგვრის შემთხვევაში ქცევაზე რეაგირებისა და ქცევის შეცვლისაკენ ორიენტირებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, 76-მა რესპონდენტმა (58.9%) მიუთითა, რომ ამგვარი პოლიტიკა არ არსებობს (ქვემოთ ჩამოთვლილ) 1-3 საკითხთან მიმართებით. 10-მა რესპონდენტმა ქცევაზე რეაგირებისა და ქცევის შეცვლისაკენ ორიენტირებული პოლიტიკის არსებობა უარყო 4-7 საკითხის მიმართ. საერთო მონაცემების მიხედვით, ყველაზე ნაკლებად მიმართავენ შემდეგი სახის ქცევაზე რეაგირების პოლიტიკას: მოსწავლის გარიცხვა სკოლიდან რამდენიმე გაფრთხილების შემდგომ (არ მიმართავენ სკოლების 46.6%-ში). შედარებით გამოიკვეთა: მოსწავლის დასჯა გარკვეული ვადით (არ მიმართავენ სკოლების 35%-ში) და დამრღვევი მოსწავლისთვის ფსიქოლოგის კონსულტაციის განევა (არ მიმართავენ სკოლების 32%-ში). ყველაზე ხშირად გამოიყენება ქცევაზე რეაგირების შემდეგი აქტივობები: დამრღვევი მოსწავლის მუდმივი მონიტორინგი, ქცევის შესწავლის მიზნით (92.8%), მოსწავლისთვის სააღმზრდელო საქმიანობის ჩატარება სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან (92.1%) და მოსწავლისთვის ახსნა-განმარტების ბარათის ჩამორთმევა (88.9%) (იხ. დიაგრამა №6.5).

დიაგრამა 6.1

არსებობს თუ არა სკოლაში უფლებების დარღვევის/ ჩაგვრის განხორციელების შემთხვევაში ქცევაზე რეაგირებისა და ქცევის შეცვლისაკენ ორიენტირებული შემდეგი პოლიტიკა(%):



შესაბამისად, ნათელია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული წესები/პროცედურები/რეგულაციები/დოკუმენტები ან მხოლოდ ფორმალურად არსებობს, ან საერთოდ არ რეგულირდება, კერძოდ, როდესაც საკითხი ეხება სკოლაში უფლებების დარღვევის/ჩაგვრის შემთხვევაში, ქცევაზე რეაგირებისა და ქცევის შეცვლისაკენ ორიენტირებულ პოლიტიკას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ ამგვარი პოლიტიკა მის სკოლაში საერთოდ არ არსებობს (58.9%). იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ დაბალი ინფორმირებულობითაა განპირობებული, ეს სკოლაში ადამიანის უფლებათა განათლების ხარვეზზე მეტყველებს. ყველაზე ხშირად მიმართავენ ქცევაზე რეაგირების აქტივობებს: დამრღვევი მოსწავლის მუდმივი მონიტორინგი, ქცევის შესწავლის მიზნით (92.8%), მოსწავლისთვის სააღმზრდელო საქმიანობის ჩატარება სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან (92.1%) და მოსწავლისთვის ახსნა-განმარტების ბარათის ჩამორთმევა (88.9%).

ამავე კონტექსტში საინტერესოა მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. მასწავლებელთა კითხვარში არსებულ შეკითხვაზე, თუ როგორ ისწავლება ადამიანის უფლებები სასკოლო დონეზე, ყველაზე ნაკლები პროცენტი სასკოლო გარემოსა და კლიმატის შესახებ დებულებას ერგო. საინტერესოა, რომ მონაცემების მიხედვით, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ყველაზე ხშირად სადამრიგებლო საათის მეშვეობით მიენოდება (69.9%)

და ყველაზე ნაკლებად - სასკოლო წესებით, პროცედურებისა და კლიმატის მეშვეობით (32.5%) - მაშინ, როდესაც მასწავლებლები სასკოლო წესებსა და პროცედურებში ადამიანის უფლებათა საკითხების მაქსიმალურ დაფარვაზე მიუთითებენ, რაც, სავარაუდოდ, ამ უკანასკნელის ფორმალურ ხასიათზე მიაწინებს. მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები ვარაუდს, ადამიანის უფლებების ფორმალურად ასახვის შესახებ სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტებში, კიდევ უფრო ამყარებს.


როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლეები ასევე მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებების საკითხების ასახვა მათ სასკოლო ურთიერთობებში ფორმალური ხასიათისაა. კვლევაში მონაწილე სკოლის მოსწავლეებს უნდა შეეფასებინათ ასახულია თუ არა ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- ▶ სკოლის მმართველობაში;
- ▶ სკოლის წესებსა და პროცედურებში;
- ▶ სწავლებაში;
- ▶ არაფორმალურ ურთიერთობებში;
- ▶ საკლასო ოთახებისა თუ დერეფნების გაფორმებასა და ვიზუალიზაციაში.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეების უმრავლესობის აზრით, აღნიშნული პარამეტრები მეტ-ნაკლებად (მაჩვენებლები ვარიირებს 30-40%-ის ფარგლებში) და/ან სრულყოფილად (მაჩვენებლები ვარიირებს 21-31%-ის ფარგლებში) არსებობს. „საერთოდ არ არსებობს“ - პასუხის ვარიანტი თითოეული პარამეტრისთვის ვარიირებს 5 – 16%-ის ფარგლებში. პასუხის ვარიანტს „საერთოდ არ არსებობს“ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ამ მხრივ „საკლასო ოთახებისა და დერეფნების გაფორმებას და ვიზუალიზაციას“ – 16.4% (იხ.დიაგრამა №6.2.).

დიაგრამა 6.2

თქვენი აზრით, ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა ასახულია:(%)




კლასების ჭრილის მიხედვით გამოვლინდა, რომ რაც უფრო მაღალ კლასშია მოსწავლე, მით უფრო კრიტიკულად აფასებს სკოლის მმართველობაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს: მე-12 კლასელების შედარებით მეტი რაოდენობა მიუთითებს, რომ სკოლის მმართველობაში საერთოდ არ აისახება ადამიანის უფლებების დაცვა (13.7%, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენ კლასებში აღნიშნული მონაცემი ვარირებს 0 – 8%-ის ფარგლებში). მე-7 კლასელების ნახევარზე ოდნავ მეტი (53.3%) კი პირიქით - მიუთითებს, რომ სკოლის მმართველობაში სრულყოფილად აისახება ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა.

მოსწავლეთა კითხვარში, ისევე როგორც მასწავლებელთა და დირექტორთა კითხვარში, გახლდათ შეკითხვები, რომლებიც უფრო ზოგად საკითხებს კონკრეტულ მიმართულებებს მისცემდა და სასკოლო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზების საკითხებს შეისწავლიდა. ამ თვალსაზრისით, მოსწავლეთა გამოკითხვამაც მნიშვნელოვანი მიგნებები გამოავლინა. კერძოდ, კითხვარის ერთ-ერთი კითხვის შესაბამისად, მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ, არსებობს თუ არა მათი აზრით, სკოლაში გარკვეული პროცედურები შემდეგი საკითხების დასარეგულირებლად:

- ▶ დისკრიმინაცია რელიგიურ ნიადაგზე;
- ▶ დისკრიმინაცია ეთნიკურ ნიადაგზე;
- ▶ დისკრიმინაცია სქესობრივ და გენდერულ ნიადაგზე;
- ▶ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე;
- ▶ დისკრიმინაცია სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან ან/და მდგომარეობასთან დაკავშირებით.


ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების დასარეგულირებლად პროცედურების არარსებობის შესახებ მიუთითებს მოსწავლეთა დაახლოებით 70%. ერთი რომელიმე საკითხის დასარეგულირებლად პროცედურების არსებობის შესახებ მიუთითებს რესპონდენტთა მხოლოდ 13.5%. თითქმის იდენტური მაჩვენებლები აქვს ეთნიკურ, სქესობრივ და გენდერულ და შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე დისკრიმინაციის დასარეგულირებელი პროცედურების არარსებობას (დაახლ. 27%). ზემოაღნიშნული საკითხების დასარეგულირებელი პროცედურების სრულყოფილად არსებობის შესახებ მიუთითებს მოსწავლეთა მხოლოდ 10-17% (იხ. დიაგრამა №6.3; 6.4).

დიაგრამა 6.3



დიაგრამა 6.4

თქვენი ინფორმაციით, არსებობს თუ არა სკოლაში პროცედურები შემდეგი საკითხების დასარეგულირებლად: (%)



ძირითადი ტენდენციები აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ჭრილში (დასახლების ტიპი, სწავლების ენა, იურიდიული ფორმა (კერძო/საჯარო), სკოლის ზომა, მოსწავლის სქესი და კლასი) მეორდება, თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კერძო და საჯარო სკოლის მიხედვით იკვეთება გარკვეული განსხვავებები: კერძო სკოლების მოსწავლეებთან შედარებით, მეტი საჯარო სკოლის მოსწავლე ამბობს ცხრილში ჩამოთვლილ ხუთივე საკითხთან დაკავშირებით, რომ მათ სკოლაში არ არსებობს პროცედურები ამ საკითხების დასარეგულირებლად. მაგალითად, რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის დასარეგულირებელი პროცედურების არარსებობაზე მიუთითებს საჯარო სკოლების მოსწავლეების 37.8%, ხოლო კერძო სკოლების მოსწავლეების - 28.8%. შესაბამისად, განსხვავებულია ამავე საკითხის დასარეგულირებლად პროცედურების სრულყოფილად არსებობის მაჩვენებელი - საჯარო სკოლების მოსწავლეებთან - 7.2%, კერძო სკოლების მოსწავლეებთან კი - 25.1%. მსგავსი ტენდენციის მიხედვით გადანაწილდება მაჩვენებლები დანარჩენ ოთხ საკითხზეც. ეს, შესაძლოა, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ კერძო სკოლებში შედარებით უკეთ რეგულირდება ადამიანის უფლებათა საკითხები, ვიდრე საჯარო სკოლებში.

ადამიანის უფლებები სასწავლო ბარემოში

რაც შეეხება ადამიანის უფლებების საკითხების განხილვას სკოლაში, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა 42.9% საერთოდ არავისთან

განიხილავს ადამიანის უფლებათა საკითხებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კუთხით ძირითადი „აქტორი“ მასწავლებელია (ყველაზე ხშირად დასახელდა, ვისთანაც ამ თემას განიხილავენ (ხშირად - 45.6%, ზოგჯერ - 32.9%)), მეტ-ნაკლებად სხვა მოსწავლეები (ხშირად - 21.7%; ზოგჯერ - 29%), ადმინისტრაციის და სკოლის სხვა წევრების ჩართულობა კი ნაკლებია. ამას გარდა, მონაცემების მიხედვით, გოგონები შედარებით ხშირად განიხილავენ მოსწავლეებთან საგაკვეთილო პროცესზე, თუ მის შემდეგ, ვიდრე ვაჟები.

კვლევის ფარგლებში მოსწავლეებმა დაასახელეს სამი ძირითადი ღონისძიება, რომლებიც მათი აზრით, უნდა გამოიყენებოდეს ჩაგვრის/დისკრიმინაციის და/ან დაცინვის პრევენციისათვის:

- ▶ მასწავლებელთა და სკოლის დამხმარე პერსონალისთვის ტრენინგი ბუ-ლინგის/ჩაგვრის პრევენციის შესახებ (შემთხვევათა 19.5%);
- ▶ საკლასო ან ჯგუფური დისკუსიები (შემთხვევათა 19.5%);
- ▶ ჩაგვრის, დისკრიმინაციის და დაცინვის შესახებ მოსწავლეების ინფორმირება (შემთხვევათა 18.5%).

ადამიანის უფლებებს სკოლაში გამოკითხულ მოსწავლეთა თითქმის 80% სწავლობს. აღნიშნულ საკითხებს, სხვადასხვა საგნებიდან ყველაზე მეტად მოიცავს საზოგადოებრივი მეცნიერებები (90.6%). მოსწავლეების 63-88% ასევე აღნიშნავს, რომ მათ უსწავლიათ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები: ადამიანის უნივერსალური უფლებები; უმცირესობათა უფლებები და დისკრიმინაციის საკითხები; ბავშვთა უფლებები; შრომითი და სოციალური უფლებები; კულტურული უფლებები. გაკვეთილებზე, სადამრიგებლო საათსა და კლასგარეშე აქტივობებში მეტ-ნაკლებად განიხილება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა სამართლიანობა (დაახლ. 45-65%), თანასწორობა (დაახლ. 49 - 67%) თანაბარი შესაძლებლობები (დაახლ. 49-60%), მშვიდობა (დაახლ. 43 - 57%) და ა.შ. (თუმცა რესპონდენტების მეხუთედი მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ არცერთ საკითხს არ განიხილავენ). მოსწავლეები ადეკვატურად აღიქვამენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ დებულებებს - ყველაზე მეტად ეთანხმებიან თანასწორობის გამომხატველ და ჩაგვრისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო მოსაზრებებს (Mean = 4.0) და ყველაზე ნაკლებად - გენდერული სტერეოტიპების გამომხატველ დებულებებს.

ადამიანის უფლებები და სასკოლო ბაჩემო


კვლევის ფარგლებში მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე, უგრძნიათ თუ არა თავი არასასურველად და/ან არაკომფორტულად ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც უკავშირდება გენდერულ იდენტობას, ეთნიკურ/რელიგიურ კუთვნილებასა და ენას, ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობას,

გარეგნობას, სექსუალურ ორიენტაციას, აკადემიურ მოსწრებას. უნდა ითქვას, რომ დისკომფორტის/არასასურველობის შესახებ მიუთითებს გამოკითხულთა არცთუ უმნიშვნელო ნაწილი - 31.2% (ე.ი. რესპონდენტები, რომლებმაც სულ მცირე 1 მიზეზი მაინც დაასახელეს, რის გამოც თავი არასასურველად/არაკომფორტულად უგრძნიათ). მოსწავლეთა ამ ჯგუფის მეოთხედი (25%) არასასურველად/არაკომფორტულად ყოფნის 1-3 მიზეზს ასახელებს.

თუ ცალკეულ პარამეტრებს/მიზეზებს შევაფასებთ, შედარებით მეტი მოსწავლე ასახელებს დისკომფორტს/არასასურველობას აკადემიური მოსწრებისა და გარეგნობის გამო (დაახლ 14 - 16%) (იხ.დიაგრამა №6.5;).

დიაგრამა 6.5

გიგრძნიათ თუ არა თავი არასასურველად ან არაკომფორტულად რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზით? (%)




მოსწავლეებმა 5-ქულიან სკალაზე სკოლის უსაფრთხოება საშუალოდ შეაფასეს⁴³. საშუალო მაჩვენებელი (Mean) განთავსებულია სკალის ნეიტ-

⁴³ ციფრი 1 აღნიშნავს საფრთხის მინიმალურ დონეს, ხოლო ციფრი 5 - საფრთხის მაქსიმალურ დონეს. სკალის ნეიტრალური პუნქტია - 3. ციფრ 3-ზე ზევით შეესაბამება „მაღალი შეფასების ველს“, ხოლო ციფრ 3-ზე ქვემოთ - „დაბალი შეფასების ველს“.

რალურ პუნქტთან ახლოს - 3.6. რაც შეეხება ცალკეულ შეფასებებს - 4 და 5 ქულა (ე.ი. საფრთხის მაღალი დონის მაჩვენებელი) სკოლის უსაფრთხოებას მოსწავლეების 42.1%-მამიანიჭა. ამას გარდა, მოსწავლეების 26.5% გრძნობს გარკვეულ ბარიერ(ებ)ს, რომელიც მათ სკოლაში ხელს უშლის სწავლაში. მოსწავლეების დაახლოებით 19 - 27%-მა ქვემოთ ჩამოთვლილი ბარიერები დაასახელა: გენდერული იდენტობა, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური კუთვნილება, ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობა და სხვ. აკადემიურ მოსწრებას, როგორც ბარიერს, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (40.7%) უკავია(იხ. დიაგრამა №6.6;6.7). მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა სხვადასხვა ქრილის მიხედვით (დასახლების ტიპი, სწავლების ენა, იურიდიული ფორმა (კერძო/საჯარო), სკოლის ზომა, მოსწავლის სქესი და კლასი).


დიაგრამა 6.6


გრძნობთ თუ არა გარკვეულ ბარიერს, რომელიც ხელს უშლის სკოლაში თქვენს სწავლას? (N=1061)



დიაგრამა 6.7

დიახ პასუხის შემთხვევაში, ფიქრობთ თუ არა, რომ ეს ბარიერები რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილის გამო არსებობს? (N=331) (%)





შენიშვნა: სწავლის ხელისშემშლელ „სხვა“ მიზეზებს შორის მოსწავლეებმა დაასახელეს: მოსწავლეთა რაოდენობა კლასში, არაკვალიფიციური მასწავლებლები, მასწავლებლები, რომლებიც მიკერძოებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მოსწავლეების მიმართ, სკოლის ინფრასტრუქტურა, განსხვავებული აზრის მიმართ დაბალი ტოლერანტობა, სხვა მოსწავლეები და ა.შ. (სულ დასახელდა 47 შემთხვევა).

სასკოლო გარემოში ადამიანის უფლებების მხრივ პრობლემების არსებობაზე ასევე მიუთითებს:

► ფაქტი, რომ ამ შემთხვევაშიც, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის დეკლარირებული და რეალური მოსაზრებები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგალითად, მოსწავლეები, რომლებიც უთითებენ, რომ „სკოლაში ყოფნა სასიამოვნოა“, ამავე დროს აღიარებენ დისკომფორტის/არასასურველობის შეგრძნებას აკადემიური მოსწრების (82 შემთხვევა), გარეგნობის (69 შემთხვევა), სქესის (40 შემთხვევა), სოციალური მდგომარეობის (27 შემთხვევა), აღმსარებლობის და რწმენის (26 შემთხვევა), ეთნიკური კუთვნილების (25 შემთხვევა), სექსუალური ორიენტაციის (15 შემთხვევა) გამო. ის მოსწავლეები, რომლებიც უთითებენ - „სკოლაში მოსწავლეებისგან კეთილგანწყობას ვგრძნობ“, ამავე დროს, აღიარებენ დისკომფორტს აკადემიური მოსწრების გამო (108 შემთხვევა) და ა.შ;

► მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის და მავნე ჩვევების სხვადასხვა გამოვლინების სკოლაში არსებობას საერთოდ უარყოფს მოსწავლეთა 49%, იკვეთება შემდეგი სურათი: მოსწავლეების მიერ ერთმანეთის დაცინვა და სიტყვიერი შეურაცხყოფა (დაახლ. 30-31%); მოსწავლეთა მიერ ერთმანეთზე ფიზიკური ძალადობა, ვანდალიზმი და თამბაქოს მოხმარება (დაახლოებით 16-17%);

► სკოლის უსაფრთხოება საშუალო დონეზე ფასდება (Mean = 3.6; 5-ქულიან სკალაზე);

► მოსწავლეების 19-27% ასახელებს სწავლაში ხელის შემშლელ გარკვეულ ბარიერებს (გენდერული იდენტობა, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური

კუთვნილება, ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობა და სხვ.). ყველაზე მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აკადემიურ მოსწრებას (40.7%) აქვს.

სასკოლო გარემოს შესასწავლად, გვსურდა გაგვეგო მოსწავლეთა მოსაზრებები სკოლაში არსებული ძალადობრივი გამოვლინებების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას ძირითადად იმ რესპონდენტებზე გავამახვილებთ, რომლებმაც ამგვარი ფაქტების ჩამონათვალზე უპასუხა „ხშირად“ (უმრავლესობა პასუხობს „არასოდეს“ და „იშვიათად“):

- ▶ შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს მოსწავლეების მიერ ერთმანეთის დაცინვასა და სიტყვიერ შეურაცხყოფას (დაახლ. 30-31%);
- ▶ დაახლოებით 16-17% მიუთითებს მოსწავლეთა მიერ ერთმანეთზე ფიზიკური ძალადობის, ვანდალიზმისა და თამბაქოს მოხმარების შესახებ.

კვლევის მონაცემების მიხედვით, მოსწავლეები ძირითადად არ აღიარებენ მათი მისამართით რაიმე სახის ჩაგვრის განხორციელებას ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ფიზიკური, სიტყვიერი, ელექტრონული - ე.ი. „არასოდეს“ მიუთითა დაახლ. 65 - 85%-მა. მოსწავლეების შედარებით მეტი რაოდენობა მიუთითებს სიტყვიერი ჩაგვრის შესახებ „ზოგჯერ“ (20.4%) (იხ. დიაგრამა 36.8).

დიაგრამა 6.8

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხომ არ ყოფილხართ ჩაგვრის მსხვერპლი შემდეგი გზებით... (%)



■ არასოდეს ■ ზოგჯერ ■ ხშირად ■ უარი პასუხზე ■ მიჭირს პასუხის გაცემა


მოსწავლეები შედარებით მეტი სიხშირით საუბრობენ ბოლო 1 წლის განმავლობაში სხვა მოსწავლის ფიზიკური, სიტყვიერი და ელექტრონული ჩაგვრის ფაქტებზე („ზოგჯერ“ - დაახლ. 17 - 32%; „ხშირად“ - დაახლ. 11 - 25%), თუმცა სიტყვიერი ჩაგვრის ფორმას ამ შემთხვევაშიც წამყვანი პოზიცია უჭირავს. ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ:

როგორც სხვა მოსწავლეების მიმართ, პირადად მის მიმართაც „ზოგჯერ“ განხორციელებული სიტყვიერი ჩაგვრის შესახებ მიუთითებს 103 მოსწავლე,

ბოლო „ხშირად“ განხორციელებული სიტყვიერი ჩაგვრის შესახებ - 54 მოსწავლე.

დიაგრამა 6.9


ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენად ხშირად გსმენიათ ან გინახავთ სხვა მოსწავლის ჩაგვრის ფაქტი, შემდეგი გზებით: (%)



მოსწავლეების ნაწილი ასახელებს სხვა მოსწავლეთა ჩაგვრის მიზეზებს. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი, ყველა მიზეზთან შედარებით, აქვს პასუხის ვარიანტს- „არასოდეს“ (დაახლ. 69 - 74%). „ზოგჯერ“ მაჩვენებელი ვარიანტს დაახლ. 10 - 16%-ის ფარგლებში: ჩაგვრის მიზეზი კი მრავალგვარია და მოიცავს როგორც რასობრივ/ეთნოკულტურულ/რელიგიურ კუთვნილებას, ასევე სექსუალურ ორიენტაციას, შეზღუდულ შესაძლებლობას და სოციალურ სტატუსს (იხ. დიაგრამა № 6.10).

დიაგრამა 6.10


ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენად ხშირად გსმენიათ ან გინახავთ სხვა მოსწავლის ჩაგვრის ფაქტი, შემდეგი მიზეზით: (%)



მოსწავლეთა ასევე მცირე ნაწილი მიუთითებს ბოლო 1 წლის განმავლობაში მის მიერ სხვა მოსწავლეების ჯგუფურად და/ან ინდივიდუალურად განხორციელებულ ფიზიკურ, სიტყვიერ და ელექტრონულ ჩაგვრაზე (დაახლ. 8 - 17%), თუმცა ჩაგვრასთან დაკავშირებული წინა კითხვების მსგავსად, შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს სიტყვიერ ჩაგვრას (17.3%). ჩაგვრის მიზეზები (რასობრივ/ეთნოკულტურული/რელიგიური კუთვნილება, ასევე სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა და სოციალური სტატუსი) გამოკითხულთა ძალზე მინიმალურ რაოდენობას აქვს დასახელებული (დაახლ. 4-5%). (იხ. დიაგრამა №6.11; 6.12)


დიაგრამა 6.11

ბოლო ერთი წლის განმავლობაში განახორციელეთ თუ არა ჩაგვრა ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად რომელიმე ქვემოთ მოყვანილი გზით: (%)



დიაგრამა 6.12

ბოლო ერთი წლის განმავლობაში განახორციელეთ თუ არა ჩაგვრა ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად შემდეგი მიზეზებით... (%)




მოსწავლეების დიდი უმრავლესობა (დაახლ. 86 – 90%) ასევე უარყოფს ბოლო 1 წლის განმავლობაში სხვა მოსწავლეების ინდივიდუალურად ან ჯგუფურად დაცინვას (რასობრივ/ეთნოკულტურული/რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის და სოციალური სტატუსის, გარეგნობის და აკადემიური მოსწრების გამო). შედარებით მეტი მოსწავლე საუბრობს გარეგნობის და აკადემიური მოსწრების გამო დაცინვაზე („იშვიათად“ - დაახლ. 11-13%).

სხვადასხვა მიზეზის (რასობრივ/ეთნოკულტურული/რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის და სოციალური სტატუსის, გარეგნობის და აკადემიური მოსწრების) გამო დაცინვის ობიექტად საკუთარი თავის დასახელებას თავს არიდებს მოსწავლეთა ასევე დიდი უმრავლესობა (დაახლ. 80- 92%). თუმცა ისევე როგორც სხვა მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან ჯგუფური დაცინვის შემთხვევაში, აქაც შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს გარეგნობის და აკადემიური მოსწრების გამო დაცინვის ობიექტად ყოფნას („ზოგჯერ“ - დაახლ. 9-11%). (იხ. დიაგრამა №6.13).

მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა სხვადასხვა ქრილის მიხედვით (დასახლების ტიპი, სწავლების ენა, იურიდიული ფორმა - კერძო/საჯარო, სკოლის ზომა, მოსწავლის სქესი და კლასი).

დიაგრამა 6.13

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყოფილხართ თუ არა დაცინვის ობიექტი შემდეგი მიზეზების გამო... (%)




■ არასოდეს ■ ზოგჯერ ■ ხშირად ■ მიჭირს პ/გ

მოსწავლეები შედარებით ღიად საუბრობენ სკოლაში სხვა მოსწავლეთა დაცინვის შესახებ სხვადასხვა მიზეზების გამო (რასობრივ/ეთნოკულტურულ/რელიგიური კუთვნილება, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა და სოციალური სტატუსი, გარეგნობა და აკადემიური მოსწრება). პასუხების ვარიანტს - „არასოდეს“, სხვადასხვა მიზეზებთან შედარებით, დაახლ. 61 – 83% უკავია. პასუხის ვარიანტის - „იშვიათად“, ხვედრითი წილი შედარებით მაღალია განსაკუთრებით გარეგნობის (24.6%) და აკადემიური მოსწრების გამო (19.8%) დაცინვის შემთხვევაში. დანარჩენი მიზეზების მიმართ პასუხის ვარიანტი „იშვიათად“ დაახლ. 13 – 16%-ის ფარგლებში ვარირებს (იხ. დიაგრამა №6.14).

დიაგრამა 6.14


ბოლო ერთი წლის განმავლობაში გსმენიათ თუ არა სხვა მოსწავლეთა დაცინვის შესახებ სკოლაში შემდეგი მიზეზების გამო... (%)




■ არასოდეს ■ იშვიათად ■ არც ისე ხშირად ■ ხშირად

მოსწავლეთა ნახევარზე ნაკლები („ხშირად“ - 43.7%) მიიჩნევს, რომ მასწავლებლები ცდილობენ აღკვეთონ ჩაგვრა და/ან დაცინვა სკოლაში. ამ მოსაზრებაში ასეთი დარწმუნებული არ არის 15.9%, ხოლო 33.4% პასუხობს - „იშვიათად/არც ისე ხშირად“. ღირექტორის ან ღირექტორის მოადგილის წვლილი, მოსწავლეთა აზრით, ჩაგვრის და/ან დაცინვის სკოლაში შეჩერების თვალსაზრისით, („ხშირად“-54.2%) შედარებით მეტია, თუმცა პასუხი - „არასოდეს“ გაგვცა ასევე ოდნავ მეტმა მოსწავლემ - 17.9% (იხ. დიაგრამა №6.15; 6.16).

დიაგრამა 6.15




დიაგრამა 6.16



მოსწავლეების ნახევარზე ოდნავ მეტი ფიქრობს, რომ ჩაგვრა და დაცივნა სკოლაში არცთუ ისე ხშირად ხდება („იშვიათად“/„არც ისე ხშირად“ - 53.4%). „ხშირად“ - მიუთითებს 17.3% (იხ. დიაგრამა №6.17). მცირე განსხვავება გამოვლინდა სკოლის ზომის ჭრილის მიხედვით, კერძოდ, რაც უფრო იზრდება სკოლის ზომა (ე.ი. რაც უფრო დიდ კონტინგენტიანია), მით უფრო იზრდება ჩაგვრის/დაცივნის სიხშირე 2%-დან (სკოლის ზომა: 1-100 მოსწავლე) 31.4%-მდე (სკოლის ზომა: 1270 მოსწავლეზე მეტი), ვინაიდან სკოლებში, სადაც მეტი მოსწავლეა, ძალადობის გამოვლინებაც მეტია.

დიაგრამა 6.17



კითხვაზე, თუ ძირითადად სად ჩაგრავენ და დასცინიან მოსწავლეებს სკოლაში, მოსწავლეების პასუხების მიხედვით, ყველაზე მეტად გამოიკვეთა რამდენიმე ადგილი:

- ▶ საკლასო ოთახი („ზოგჯერ“ - 41.2%; „ხშირად“ - 12.1%);
- ▶ დერეფანი („ზოგჯერ“ - 40.1%; „ხშირად“ - 12.9%);
- ▶ ეზო („ზოგჯერ“ - 34.6 %; „ხშირად“ - 14.1%);
- ▶ სკოლისკენ მიმავალი და სკოლიდან მომავალი გზა („ზოგჯერ“ - 30.2 %; „ხშირად“ - 11.7%);
- ▶ სპორტული დარბაზი („ზოგჯერ“ - 30.8 %; „ხშირად“ - 9.4%).

ასევე შედარებით გამოიკვეთა: სოციალური ქსელები („ზოგჯერ“ - 22.8 %; „ხშირად“ - 13.9%) და საპირფარეშო („ზოგჯერ“ - 23.8 %; „ხშირად“ - 10.3%);

როდის აღმოჩნდებიან მოსწავლეები ჩაგვრისა და დაცინვის რისკის ქვეშ? კვლევის მონაცემების მიხედვით, შედარებით გამოიკვეთა:

- ▶ სკოლის შემდეგ (ყველაზე მეტი მოსწავლე ასახელებს - „ხშირად“ - 21.2%; ზოგჯერ - „31%“);
- ▶ პასუხის ვარიანტი „ზოგჯერ“ შედარებით მაღალი სიხშირით გაიცა - გაკვეთილებს შორის შესვენებაზე (38.6%), გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში (31.5%).


მოსწავლეებს მიეცათ დებულებების ჩამონათვალი და ეთხოვათ შეეფასებინათ, რამდენად ხშირად მიმართავენ დებულებებში აღწერილ ფაქტებს უფროსები მათ სკოლაში (მაგალითად, მასწავლებელი, დირექტორი, დამრიგებელი). როგორც კვლევამ აჩვენა:

- ▶ მოსწავლეთა უმრავლესობის (64.4%) აზრით, უფროსები სკოლაში იგნორირებას არასოდეს უკეთებენ ჩაგვრისა და დაცინვის ფაქტებს; დაახლოებით ამდენივე რესპონდენტი (62%) მიიჩნევს, რომ ისინი (უფროსები) ცდილობენ ჩაგვრის/დაცინვის შეჩერებას „ხშირად“ (31.3%) და „ყოველთვის“ (30.7%);
- ▶ მოსწავლეთა მეოთხედს მიაჩნია, რომ უფროსები არასოდეს ამჩნევენ ჩაგვრას/დაცინვას სკოლაში, თუმცა ამავე საკითხზე 40.9% პასუხობს, რომ „ზოგჯერ“ ამჩნევენ;
- ▶ ჩაგვრის/დაცინვის ფაქტებზე სკოლაში უფროსები აქტიურად საუბრობენ „ზოგჯერ“ (31.2%) ან „ხშირად“ (26.3%);
- ▶ ასევე „ზოგჯერ“ (28.5%) ან „ხშირად“ (21.7%) სჯიან სკოლაში უფროსები მჩაგვრელებს;
- ▶ რაც შეეხება ორივე მხარის მოსმენას (მჩაგვრელების და ჩაგრულების), ამას უფროსები აკეთებენ „ხშირად“ (23.9%) და „ყოველთვის“ (36%);

მონაცემების მიხედვით, სკოლაში უფროსები მსხვერპლის მხარესაც აქტიურად იჭერენ - „ზოგჯერ“ (20.8%), „ხშირად“ (25.9%), „ყოველთვის“ (27.3%) (იხ. დიაგრამა №6.18).

დიაგრამა 6.18

როგორ ფიქრობთ, უფროსები (მაგ. მასწავლებელი, დირექტორი, დამრიგებელი) თქვენს სკოლაში, რამდენად ხშირად... (%)




სასკოლო კლიმატთან დაკავშირებით ბევრად უფრო პოზიტიური სურათის წარმოჩენას ცდილობენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლებში ძალადობის/ჩაგვრის და მავნე ჩვევების სხვადასხვა ფაქტის გამოვლენაზე საუბრისას სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში ამბობენ, რომ ასეთი ფაქტები „არასოდეს“ ხდება (დაახლ 95-99%). მიუხედავად ამისა, საინტერესოა, რომ ფიზიკურ ძალადობას მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეზე, სკოლების ადმინისტრაციის 13 წარმომადგენელი აღიარებს (თუმცა „იშვიათად“).

ის ფაქტი, რომ სკოლის დირექტორები თავიანთ სკოლებში არსებული ვითარების პოზიტიურ ქრილში წარმოჩენას ცდილობენ, ნათლად ჩანს მათი პასუხებიდან, კითხვაზე, შეესაბამება თუ არა სასკოლო ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საჭიროებებს. მონაცემების მიხედვით, კვლევაში მონაწილე სკოლების 47.2% -ში უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სასკოლო ინკლუზიისთვის. 43.9% - კი მიუთითებს ნაწილობრივი უზრუნველყოფის შესახებ. ნიუანსური განსხვავება გამოვლინდა სკოლის ტიპის მიხედვით

- მონაცემების მიხედვით, ინფრასტრუქტურას შუამ მოსწავლეთა სასკოლო ინკლუზიისთვის სრულად უზრუნველყოფს კერძო სკოლების 83.9% და საჯარო სკოლების - 34.8% (დიაგრამა №6.19).

დიაგრამა 6.19

რამდენად უზრუნველყოფს თქვენი სკოლის ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სასკოლო ინკლუზიას? (%) (N=123)



ანუ, სკოლის ადმინისტრაციის 91,1 % მიუთითებს, რომ მათი სკოლების ინფრასტრუქტურა სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სასკოლო ინკლუზიას. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 245 საჯარო სკოლა (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 12%) იყო აღჭურვილი ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გაკეთებული პანდუსით, ხოლო 103 საჯარო სკოლაში (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 5%) იყო მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციისა და მათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების⁴⁴ შესაბამისად.⁴⁵

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 განკარგულება.

⁴⁵ „ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში“, ტაბატაძე და გორგაძე, 2014, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, საქართველო. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://goo.gl/A9tCda>> ნანახია 15.03.2018

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ბოლო 3 წლის განმავლობაში მკვეთრი ნაბიჯები ამ თვალსაზრისით არ გადადგმულა, შესაბამისად, ეს მონაცემი შესაძლოა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან კვლევის ფარგლებში არსებული სიტუაციის პოზიტიურად წარმოჩენის მცდელობაზე მიუთითებდეს.

7. რეკომენდაციები

1. ნორმატიული ჩარჩო

1. არსებული პრობლემა/გამოწვევა

ზოგადი განათლების შესახებ კანონი განსაზღვრავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემავალ საგნობრივ ჯგუფებს (მუხლი 5.3), რომელთა შორისაც არ არის მითითება მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე.

რეკომენდაცია

- სასურველია, მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ექსპლიციტურად იყოს მოხსენიებული ზოგადი განათლების შესახებ ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტში. აღნიშნული ჩანაწერი საფუძვლად დაედება მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცალკე საგნობრივ სწავლებასა და, ასევე, სხვა საგნების ფარგლებში ადამიანის უფლებების პრინციპებისა და ცნებების ინტეგრირების ხელშეწყობას.

2. არსებული პრობლემა/გამოწვევა

2018 წლის მარტში მომზადებულ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სკოლებში უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებას, საგრძნობლად გაიზარდა მანდატურის სამსახურის უფლებამოსილებები და ფუნქციები, თუმცა მისთვის სავალდებულო კურსებსა და საკითხებს შორის ნახსენები არ არის ადამიანის უფლებების შესახებ განათლება.

რეკომენდაცია

- აუცილებელია, რომ მანდატურის სავალდებულო კომპეტენციებს შორის, ასევე, მანდატურთა მოსამზადებელ კურსში (რომელიც განისაზღვრება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსების დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №373 – №58/ნ, 2011 წლის 3 მაისი) განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას.

3. არსებული პრობლემა/გამოწვევა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლის დირექტორის სტანდარტში არ არის მოთხოვნა ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნისა და უნარების თაობაზე; არც 2008 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს ცოდნასა და კომპეტენციებს ადამიანის უფლებათა სფეროში. რაც შეეხება მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებს, მხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის სტანდარტები შეიცავს მოთხოვნას ადამიანის უფლებათა საკითხების გარკვეული ცოდნისა და უნარების შესახებ. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსში, ასევე არ არის მითითებული მასწავლებელთა ვალდებულებაზე, ჰქონდეს მიღებული განათლება ადამიანის უფლებების შესახებ.

რეკომენდაცია

- აუცილებელია, ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ცოდნა, ღირებულებები და უნარები აისახებოდეს სკოლის დირექტორის სტანდარტში, ასევე მასწავლებელთა საგნობრივ სტანდარტსა და პროფესიული ეთიკის კოდექსში.

4. არსებული პრობლემა/გამოწვევა

არსებული ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანის უფლებების საკითხები წარმოდგენილია საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, აგრეთვე, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების ჩამონათვალში, თუმცა აღარ არის გაშლილი სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში (შედარებით მეტი ხვედრითი წილია ადამიანის უფლებების სწავლებისა, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში, ნაწილობრივ კი - სპორტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეროვნულ სასწავლო გეგმებსა

და სადამრიგებლო საათში).

რეკომენდაცია

- უმნიშვნელოვანესია, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ადამიანის უფლებების საკითხები აისახოს ყველა საგნობრივ ჯგუფში, ასევე, ყველა კლასის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

5. არსებული პრობლემა/გამოწვევა

მისასალმებელია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ფარგლებში მოქალაქე განათლების კომპონენტის გაძლიერების სურვილი, და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2019 წლიდან საბაზო საფეხურზე ახალი საგნის, „მოქალაქეობის“, შემოტანის დაგეგმვა. თუმცა წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებაზე და ძალიან მწირად არის წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა სწავლება.

რეკომენდაცია

- ევროპის საბჭოს 2010 წლის ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ, მიჯნავს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. მნიშვნელოვანია, იმ კონტექსტში, როდესაც ადამიანის უფლებათა საკითხები ძალიან მცირე დოზით არის წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სხვა საგნებში, მოცემული საგნის სტანდარტში აისახოს, როგორც დემოკრატიული მოქალაქეობის, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური და ფართო სპექტრის საკითხები.

6. არსებული პრობლემა/გამოწვევა

მოსწავლეების დამოკიდებულებების კვლევამ აჩვენა მათი ზედაპირული, და ხშირ შემთხვევაში, სტერეოტიპული დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ, ეს განსაკუთრებით ეხება გენდერულ თანასწორობას, ასევე, სხვადასხვა ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური, ჯანმრთელობის, სოციალური მდგომარეობისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა

მიმართ დისკრიმინაციულ მოსაზრებებს.

რეკომენდაცია

- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ განათლების პროცესში განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს თანასწორობის (მათ შორის გენდერული), დისკრიმინაციის აკრძალვის, ჩაგვრისა და ძალადობის ყველანაირი სახის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

II. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა, ასევე პედაგოგ-მასწავლებელთა განათლება და პროფესიული განვითარება

7. არსებული პრობლემა/გამოწვევა

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მასწავლებლების ცოდნა ადამიანის უფლებების სფეროში, დაბალია. ცოდნის ნაკლებობა და ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი მომდინარეობს ორი მნიშვნელოვანი წყაროდან: (1) უმაღლეს სასწავლებლებში ადამიანის უფლებათა საკითხებზე ნაკლები აქცენტირებით მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე; (2) სასკოლო თუ ცენტრალურ დონეზე, ამ მიმართულებით, პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობით.

რეკომენდაციები

- უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამებში აისახოს ადამიანის უფლებათა ცოდნა, ღირებულებები და უნარები;
- განათლების და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს სკოლების გაძლიერება სასკოლო დონეზე ადამიანის უფლებების სწავლების მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინსტრუმენტების შესაქმნელად;
- გაძლიერდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შესამუშავებლად და განსახორციელებლად, ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით.
- სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვის საკითხებში.

სასკოლო კლიმატი/სასწავლო გარემო

8. არსებული პრობლემა/გამოწვევა

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით (მუხლი 10), მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ იცოდნენ თავიანთი უფლებებისა და მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. საამისოდ, სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ ყოველ ახალ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გააცნოს მათი უფლებები და თავისუფლებები. ასევე, სკოლა ვალდებულია ამ უფლებების შეზღუდვის შემთხვევაში გონივრულ ვადაში განუმარტოს მათ შეზღუდვის საფუძველი. აღნიშნული ჩანაწერი არ აკონკრეტებს, ვინ არის პასუხისმგებელი უფლებების გაცნობასა და ამ პროცესის ფორმატზე.

რეკომენდაცია

- კანონის შესაბამის მუხლში, სასურველია, უფრო დეტალურად გაიწეროს იმის შესახებ, თუ რა ფორმით (ზეპირი გასაუბრება თუ სპეციალური კურსი) უნდა მიენოდოს ინფორმაცია მოსწავლეს, მშობელს თუ მასწავლებელს, მათი უფლებების შესახებ, ვინ უნდა გააკეთოს ეს (სკოლის ადმინისტრაციამ თუ ადმინისტრაციის მიერ დანიშნულმა სპეციალურმა წარმომადგენელმა) და რა შინაარსის ინფორმაცია უნდა მიენოდოთ.

9. არსებული პრობლემა/გამოწვევა

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებების შელახვისას, მათ შორის ჩაგვრისა და ძალადობის შემთხვევებში, მოსწავლეთა ნაწილი ინერტულია. უმოქმედობის გამომწვევი მიზეზი ხშირად რეაგირების სტრატეგიების უცოდინრობასთან არის დაკავშირებული. რეაგირება ადამიანის უფლებების დარღვევაზე ასოცირდება „ამბის მიტანასთან“, რაც მოსწავლეთა ნაწილისთვის მიუღებელია, განსაკუთრებით ვაჟების შემთხვევაში.

რეკომენდაცია

ადამიანის უფლებების დარღვევების გამოსავლენად და შესაბამისი რეაგირების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია:

- სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და მანდატურების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების საკითხებზე;
- მოსწავლეთათვის ჩაგვრის/ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვადასხვა შემთხვევის გამოსავლენად და მათ შესახებ შესაბამისი

მხარეებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, მექანიზმების უზრუნველყოფა (მაგ.: ანონიმური წერილების ყუთი, შიდა სასკოლო ანონიმური გამოკითხვა და სხვ.);

- სკოლების ადმინისტრაციის მიერ, ადამიანის უფლებათა შელახვის შემთხვევებზე რეაგირების წესებისა და სანქციების შემუშავება, და სკოლის სტენდებზე მათი საჯაროდ გამოკვრა, ყველასათვის ცნობილი რომ გახდეს;
- სკოლის შიდა რეგულირების წესების დაფუძნება ძირითად წესებსა და ინსტრუქციებზე, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად უნდა შეიმუშაოს.

10. არსებული პრობლემა/გამოწვევა

სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლების უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათი სკოლების ინფრასტრუქტურა სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფს შშმ მოსწავლეთა სასკოლო ინკლუზიას, რაც არსებული სიტუაციის პოზიტიურად წარმოჩენის მცდელობა უფროა, ვიდრე რეალობა. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 245 საჯარო სკოლა (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 12%) იყო აღჭურვილი ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გაკეთებული პანდუსით, ხოლო 103 საჯარო სკოლაში (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 5%) იყო მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი. ბოლო 3 წლის განმავლობაში კი, რეალური ნაბიჯები ამ კუთხით, არ გადადგმულა.

რეკომენდაცია

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა/მასწავლებელთა/ადმინისტრაციის წარმომადგენელთა საგანმანათლებლო საქმიანობაში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ადაპტაცია.

11. არსებული პრობლემა/გამოწვევა

სკოლების უმრავლესობაში (60.7%) იშვიათად ან არასდროს ტარდება კლასგარეშე აქტივობები ადამიანის უფლებებზე. კლასგარეშე აქტივობების გამოყენება ადამიანის უფლებების სწავლებისთვის, სერიოზული აუთვისებელი რესურსია.

რეკომენდაცია

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნას სპეციალური პროგრამები სკოლაში ადამიანის უფლებების სწავლებაზე ორიენტირებული კლასგარეშე აქტივობების ორგანიზებისთვის.

12. არსებული პრობლემა/გამოწვევა

სკოლების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში არ არსებობს სამოქალაქო აქტივიზმისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის პრაქტიკული ქმედების ინსტრუმენტები.

რეკომენდაცია

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ინსტიტუტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობისთვის წამახალისებელი გარემოს შექმნა.

